გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N9 (9189) | 31 მარტი. 2016 წელი | ფასი 50 თეთრი

## სანამ ყველა მრავალსართულიანი სახლი არ შალეისუერება



2

„მერსი კორპსის" ექოსკოპიური აპარატი სამტრედიაში

## პარტიების ლოკალურად გატანას ლოკალური ხვნა მოჰყვება

კონსტანტინე გამსახურდია:
„თავად განსაჯეთ, არის თუ არა ზვიად გამსახურდია დაფასებული"



6

რა უნდა ვიცოდეთ ტუბერკულოზის შესახებ




3

## სიმღერა ლოლიძიდან ბენ ლემანამდე

ბრიუსელის ტექსტი



7

კაკო ვაშალომიძის მუსიკით და ემოციით სავსე ცხოვრება

„ლადი" – გრან-პრი საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე „ცეცხლოვანი გულები"




8

# სანამ ყველა მრავალსართულიანი სახლი არ გადაიხურება

**თეა ბაბუნაშვილი**

***პროექტი, მრავალსართულიანი სახლების გადახურვას რომ გულისხმობს, ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობებით წელსაც გრძელდება და როგორც გამგებელი აღნიშნავს, სამომავლოდაც იმუშავებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში. "ანუ მანამ, სანამ ყველა მრავალსართულიანი სახლის სახურავი არ მოწესრიგდება. სახლში წყალი რომ არ ჩაუვა იქაურ მცხოვრებლებს, მერე სხვა საკითხების მოგვარებაზეც ვიზრუნებთ." _ აღნიშნავს ვალერი ფოცხვერია.***

მარტის წვიმიანი დღე, ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან, ზურაბ გოგიასა და ავთო ნაცვლიშვილთან, მოადგილე მამუკა თავაძესთან და ქალაქის მუნიციპალიტეტში გამგებლის წარმომადგენელ თენგო ცაგურიასთან ერთად, უკვე დასრულებული სამუშაოების დასათვალიერებლად გამოიყენა გამგებელმა. წელს კიდევ ოთხი სახლი შეემატა შარშან გადახურული 10 ბინის რიცხვს. ადგილობრივმა ბიუჯეტმა 136 ათასი ლარი გამოჰყო გადახურვითი სამუშაოებისთვის. მოსახლეობის თანამონაწილეობა საერთო თანხაში მხოლოდ 5%-ია. ტენდერის პირობებით თბილისურმა ორგანიზაცია "ლიმ გრუპმა" 47 ათას ლარიანი ეკონომიის პირობა დასდო და სამუშაოები შეასრულა. როგორც ამ სახლების მცხოვრებლები ამბობენ, ხარისხიანადაც, რადგან წყალი აღარ ჩამოსდით ოთახებში. გამგებელი კი თავიდანვე არ გახლდათ კმაყოფილი ყველა სამუშაოთი და გარკვეული ხარვეზები გამოასწორებია მშენებელ ორგანიზაციას. ხელახალი დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ შენიშვნები გაითვალისწინეს. ლაშა თევზაძის პირველი და მეორე ნომერი ბინები, თელიას ქუჩაზე N2 და კაკაბაძის, ყოფილი ბაუსკას, N30 საცხოვრებელი სახლები თუნუქის 5 მილიმეტრიანი ფურცლით გადაიხურა. დანაზოგი თანხით სავარაუდოდ კიდევ ერთი სახლი გადაიხურება.

თევზაძის მეორე ბინის მცხოვრებლებმა, გადახურვის სამადლობელს წყლის პრობლემის მოგვარების სურვილი მოაყოლეს, პირველ ბინაში კანალიზაციის პრობლემა აქვთ. თელიას ქუჩაზე მადლობა გადახურვისთვის, მაგრამ ეზოში ასფალტის დაგების შემდეგ გაუქმებული წყალსაწრეტი ისევ თუ არ აღდგა, წყალი წაგვიღებსო, აგრეთვე, ტრესტის ყოფილი შენობის კედლების გამაგრებაც აუცილებელ პირობად დაასახელეს. თუ ასე არ მოხდა, რადგან მიტოვებული ტრესტი ამ საცხოვრებელი სახლის პირველი სართულია, შეიძლება შენობას საძირკველი გამოეცალოს. ეზოში დამდგარი წყალი და მოუწესრიგებელი კანალიზაცია კაკაბაძის ქუჩაზეც პრობლემებს უქმნის 30-ე ბინის მცხოვრებლებს. საერთოდ, კანალიზაცია სამტრედიაში აქილევსის ქუსლია, განსაკუთრებით საერთო ბინებში. "ჩვენი ბინიდან კანალიზაცია გარეთ არ გასულა უკვე 15 წელია, ბინის ქვეშ ჩაედინება. გვიხარია, რომ ეზოში ჯერ არ ამოუხეთქია. სხვა ბინებში ამოხეთქა და საშინელი მდგომარეობა აქვთ." _ გვითხრეს თევზაძის პირველი ნომერი ბინის მცხოვრებლებმა. ეს სამუშაოები არ ითვალისწინებს მიშენებების გადახურვას. აქაურებმა დანანებით აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა, პროექტში მიშენებებიც ყოფილიყო გათვალისწინებული.



"კანალიზაცია საერთო პრობლემაა სამტრედიის მრავალსართულიანი სახლებისა. ამაზე წყალკანალთან ერთად უნდა ვიმუშაოთ, ეს მათი მოსაგვარებელი საქმეა, მაგრამ ჩვენ რასაც შევძლებთ დავეხმარებით. გადახურვის სამუშაოებს რომ მოვრჩებით, ამ საკითხითაც დავინტერესდებით. ეს სამუშაოები კი გასტანს მანამ, სანამ ქალაქში ყველა მრავალსართულიანი სახლი არ გადაიხურება." _ ამბობს ვალერი ფოცხვერია.

ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება მრავალსართულიან სახლებში დაწყებულია. ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ქალაქის მთელ პერიმეტრზე მათი ბოლომდე მიყვანის პირობას სდებენ.

# ბარათების დროულად გატანას დროული ხვნა მოჰყვება

**ნინო ნანიტაშვილი**

ქალაქის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სახნავი ბარათების გაცემა 25 თებერვალს დაიწყო და დღემდე გრძელდება. დღეში საშუალოდ 50-მდე მოქალაქე მოდის და კუთვნილი ბარათი მიაქვს. მრავალჯერ გაცემული ინფორმაციის მიუხედავად მოდიან ისეთებიც, რომლებიც 2500 კვადრატულ მეტრზე ნაკლები მიწის ფართობს ფლობენ და სახნავი ბარათები არ გაიცემა. ასეთი კატეგორიის მიწის მფლობელებს აგრობარათებზე დაერიცხებათ ქულები, რითაც ისინი მინერალური სასუქის გამოტანას შეძლებენ. შეგახსენებთ, რომ 2013 წლის გაზაფხულიდან 2016 წლის გაზაფხულის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2500 კვადრატულ მეტრსა და მის ზემოთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მფლობელებს კუთვნილ ფართობს უფასოდ ხნავენ.

28 მარტის მაჩვენებლით 1301 ბარათია გაცემული. სულ ქალაქის ტერიტორიაზე 2934 სახნავი ბარათი ჩამოვიდა. მათგან 15 ბენეფიციარი დამატებით სიაშია მოხვედრილი.



სახნავი ბარათების გაცემა ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე, ქალაქის წარმომადგენლობის ოფისში № 330 ოთახში წარმოებს. დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ორი თანამშრომელი, ნონა ფანცულაია და ილია გაბეჩავა მოქალაქეებს ემსახურებიან.

რაც შეეხებათ იმ მიწის მფლობელებს, რომელთა სახელზე სახნავი ბარათებია ჩამოსული, თუმცა მათ საკუთარი სახსრებით უკვე დახნული აქვთ მიწა, ისინი აბრუნებენ ბარათებს. სანაცვლოდ აგრობარათებზე შესაბამისი ქულები დაერიცხებათ. ამ დროისათვის ასეთი 182 ბარათია უკან დაბრუნებული.

მოსახლეობა ამბობს, რომ შარშანდელთან და შარშანწინდელთან შედარებით ბარათების აღება გამარტივებულია, მათ აღარ უწევთ რიგებში დგომა. ამ უკანასკნელს თენგიზ ცაგურია იმით ხსნის, რომ საქმის გაიოლება სპეციალური ელექტრონული პროგრამის შემუშავებას მოჰყვა: "ყველა თანამშრომლის მადლიერი ვარ, მათ შრომას ვაფასებ, რაც შეეხებათ ნონა ფანცულაიას და ილია გაბეჩავას, ისინი ოპერატიულად და პროფესიონალურად ახერხებენ მოქალაქეებისთვის სახნავი ბარათების გადაცემას. საჭიროა ბენეფიციარებმა მხოლოდ პირადობის მოწმობები წარმოადგინონ. ვისარგებლებ შემთხვევით და გაზეთის ფურცლებიდან მივმართავ მოსახლეობას, დროულად მოვიდნენ, აიღონ კუთვნილი ბარათები, რომლის შემდგომაც ჩვენ შპს "მექანიზატორს" მოსახლეობის მზადყოფნის, ამა თუ იმ უბანზე დროულად მოხდეს მიწის ნაკვეთების დახვნა. აქვე მივუთითებთ ჩვენს საკონტაქტო ნომერს 599 99 89 77, 411 22 33 01."



სასოფლო-სამეურნეო ბარათის მოქმედების ვადა 2016 წლის 2 დეკემბრამდეა.

# რასაც დათესთ, იმას მოიმკით...

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარება, მოსახლეობის მხარდაჭერა საგაზაფხულო ხვნა-თესვის კამპანიის ორგანიზებულად ჩატარებისათვის, ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო ბარათებითა და აგრობარათებით სარგებლობის სიკეთე კარგა ხანია ცნობილია და ერთგვარი შეღავათი რომაა მიწის მფლობელთათვის, სიახლეს უკვე არ წარმოადგენს.

_ სამტრედიის მუნიციპალიტეტში პირველ ეტაპზე 11743, მეორე ეტაპზე კი 69 სასოფლო-სამეურნეო ბარათი ჩამოვიდა.

სულ მუნიციპალიტეტში 19018 ბენეფიციარია, დანარჩენები კი აგრობარათებით სარგებლობენ. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა, ბატონმა მამუკა კვანტალიანმა.



რაკი საგაზაფხულო სამუშაოების აქტიური პერიოდია, ბუნებრივია, იმითაც დავინტერესდით, თუ რამდენი ჰექტარია დღეისათვის მოხნული მუნიციპალიტეტში.

როგორც ბატონი მამუკასაგან შევიტყვეთ, 24 მარტის მონაცემებით პროგრამით 609, 5 ჰა, პროგრამის გარეშე 136,2 ჰა ფართობია მოხნული, ხვნის პროცესი გრძელდება.

ვიმედოვნებთ, საგაზაფხულო ხვნა-თესვის პროცესი მაქსიმალურად მობილიზებულად ჩაივლის, რაც უხვი მოსავლის, საბოლოოდ კი მოსახლეობის კეთილდღეობის გარანტი იქნება.

***ლევან გაბეჩავა***

# "მერსი კორპსის" ექოსკოპიური აპარატი სამტრედიაში

**ნინო ნანიტაშვილი**

საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისა და სოფლად სიღარიბის შემცირების მიზნით ევროკავშირმა შეიმუშავა პროექტი, ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის "ENPARD საქართველო", რომელიც 2013 წელს დაიწყო. პროგრამა ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნასა და განვითარებაზე საქართველოში.

სოფლის მეურნეობასთან ნებისმიერი ფორმით დაკავშირებულ მწარმოებელ, გადამმუშავებელ, მიმწოდებელ და მომსახურე ფორმალურ და არაფორმალურ ფერმერულ გაერთიანებებსა და კერძო პირებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, მომავალში აწარმოონ ერთობლივი საქმიანობა, ასევე, მექანიზაციის სერვის-ცენტრებს, ვეტაფთიაქებს, რძის შემკრებ და გადამმუშავებელ საწარმოებს პროექტის სამოქმედო გეგმების და თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ თავის დროზე ინფორმაცია მიეწოდათ.

შარშან გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია "მერსი კორპსი" სასოფლო-სამეურნეო სერვისპროვაიდერებზე ახორციელებდა, მონაწილეობა სამტრედიის მუნიციპალიტეტში 4-მა სუბიექტმა მიიღო, მათ შორის იყო ინდმეწარმე "გიგა გელოვანი", რომელმაც კონკურსის სამივე ეტაპი წარმატებით გაიარა.

რამდენიმე დღის წინ "მერსი კორპსის" წარმომადგენელმა 5 500 ამერიკული დოლარის ღირებულების ექოსკოპიის აპარატი სამტრედიაში ჩამოიტანა და



გიგა გელოვანს გადასცა. აღნიშნული აპარატი დასავლეთ საქართველოში სულ ორია, ერთი ზუგდიდში, რაც შეეხება იმერეთის რეგიონს, ექოსკოპიის აპარატი ერთადერთი სამტრედიის მუნიციპალიტეტშია.

ნუგზარ ჯინჯიხაძე, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რეგიონალური კოორდინატორი, "მერსი კორპსის" წარმომადგენელი: "ჩვენი ორგანიზაცია ევროკავშირის დაფინანსებით კოოპერატივების განვითარების პროექტს ახორციელებს. პროექტის ფარგლებში ფინანსდება როგორც კოოპერატივები, ასევე სერვისპროვაიდერები. გიგა გელოვანი არის სერვისპროვაიდერი, რომელიც სერვის უწევს ფერმერებს, მეცხოველე ფერმერებს ვეტერინარიის დარგით. მას პროექტმა თანადაფინანსებით შეუძინა ერთ-ერთი საუკეთესო, უახლესი გერმანული წარმოების "დრამინსკის" ექოსკოპიის აპარატი, რომელიც გამოსადეგია როგორც მსხვილფეხა, ასევე, წვრილფეხა პირუტყვზე. ამის გარდა გადაეცა გინეკოლოგიური ნაკრები უსისხლო მეთოდით საკასტრაციო მაშა".

გიგა გელოვანი, პროექტის პროვაიდერი: " ექოსკოპიის აპარატი დიდ საშუალებას მისცემს როგორც ფერმერულ, ისე კერძო სექტორში მყოფ მოსახლეობას, რომლებიც დასაქმებულები არიან სოფლის მეურნეობაში და აწარმოებენ ცხოველებს. ამ აპარატით მოხდება მთელი რიგი დაავადებების წინასწარი დიაგნოსტიკა. როგორიცაა დიაგნოსტიკა ცხოველის მაკეობაზე ადრეულ ასაკშივე, აგრეთვე, ტრავმული პერიკატიტი (უცხო სხეულის ცხოველთა საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხვედრა და შინაგან ორგანოებზე ტრავმის მიყენება). ასევე, ცხოველთა სხვა ორგანოების დაავადებების დიაგნოსტიკა".

ექოსკოპიური აპარატი არის პროვაიდერის, გიგა გელოვანის აფთიაქში, საიდანაც დაინტერესებულ ფერმერებს შეეძლებათ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ ვეტერინარი სპეციალისტის მიერ მიიღონ მომსახურება.

# [illegible]

## ბრიუსელის ტერაქტი



**ლევან გაბეჩავა**

დღეს სხვა დროა, სხვა აზროვნება იმ ეპოქასთან შედარებით, როცა თავგასულ ჩაფრებაზე მამასახლის იასაულებზე განაწყენებული ხალხი ხელში კაჟიან ფილთა თოფს ან დამბაჩას აიღებდა და მერე ტყეს შეაფარებდა თავს. მაშინდელი მთავრობა მათ ყაჩაღებს, აბრაგებს, მასები კი ხალხის უფლებებისათვის მებრძოლებს, მართალ ადამიანებს უწოდებდა.

დრო შეიცვალა.

სამწუხაროდ, კაცობრიობა მარტო სიკეთის კეთებაზე როდია ორიენტირებული, ამდენად, თანამედროვე მსოფლიოში ბუნებრივ კატასტროფებს რომ თავი დავანებოთ, ძალით თავსმოხვეული უბედურებებიც მრავლად ხდება.

გვახსოვს 2001 წლის 11 სექტემბერი...

ბესლანი...

თურქეთი...

....

22 მარტი, ბრიუსელში ფართომასშტაბიანი ტერაქტი განხორციელდა, არიან დაღუპულები, მძიმედ დაშავებულები.

როგორც აცხადებენ, შესაძლოა დაშავებულთა ხარჯზე დაღუპულთა რაოდენობა გაიზარდოს.

სამწუხაროა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოთა ლიდერების ძალისხმევა _ მშვიდობიანი მსოფლიოსათვის, ჯერჯერობით რამდენადმე, აუხდენელ ოცნებად რჩება.

დაღუპულები.

დაშავებულები.

მორალურად გატეხილი, დასუსტებული საზოგადოება.

დაუცველობის შეგრძნება...

ასეთია ნებისმიერი ტერაქტის მძიმე შედეგები.

ბრიუსელში მომხდარის გათვალისწინებით, ამ დღეებში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროთა პირველი პირები შეიკრიბნენ, შემუშავებულია დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგაა მიმართული.

სამართალდამცავი ორგანოებისათვის უდიდესი, დაღუპულთა და მათი ოჯახებისათვის კი არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, თუ რომელმა დაჯგუფებამ აიღო პასუხისმგებლობა ტერაქტზე.

მსოფლიო საზოგადოება გმობს მომხდარს და შეშფოთებას გამოთქვამს ხალხის მიმართ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულის მიმართ.

---

## დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს!

*თავისუფლება ლომთა ხვედრია...*
*ჯ. ჩარკვიანი*

**ლევან გაბეჩავა**

თითქოს ყველაფერი გუშინ იყო, არადა, საუკუნის მეოთხედი, ოცდახუთი წელი გავიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან.

მამულის ბედნიერება, თავისუფლება არ ასვენებდა საფრანგეთში გადახვეწილ პოლიტიკურ ქართულ ემიგრაციას ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

ამავე მიზნისთვის აშკარად თუ მალულად იბრძოდნენ, ილვწოდნენ კომუნისტური რეჟიმის მარწუხებში ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა...

იყო დევნა, კატორღები, გადასახლებები...

მაგრამ არ გატყდა ქართული სული.

წინაპართა ტრადიციები, გმირული წარსული არ აძლევდა მათ მოსვენების, მშვიდად ყოფნის საშუალებას, უფლებას.

არ აძლევდა და...

ეროვნულ მოძრაობად აზვირთდა და აბობოქრდა ქართული სული 1989 წლის ადრიან გაზაფხულზე.

პატრიოტ მამულიშვილთა მღელვარებამ მოიცვა ქვეყნის დედაქალაქის მთავარი მოედანი.

მერე 9 აპრილის სისხლიანი დილაც გათენდა...

ერი, ბერი დასტიროდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველებს, მათ ხომ ყველაზე ძვირფასი _ სიცოცხლე მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე, 70 წლის იყო მათგან ყველაზე უფროსი, ყველაზე უმცროსი კი ჯერაც არ მოვლენოდა სამზეოს.



სწორედ მასზე იტყვის მოგვიანებით პოეტი: ''ჯერ არშობილი გმირი, სამშობლოსათვის კვდები!'' ფეხმძიმე დედასთან ერთად აღესრულა ეს უსახელო გმირი.

იყო ცრემლი და ყვავილები.

ერთ მუშტად შეკრა მომხდარმა სრულიად საქართველო.

სამძიმრის დეპეშებს გზავნიდნენ საქართველოში საზღვარგარეთ მცხოვრებნი, ისინი ქართველებზე არანაკლებ რომ განიცადეს საქართველოს უბედურება.

საოცარი ცინიზმი _ ასე შეიძლება შეფასდეს სულთმობრძავი საბჭოეთის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის მიხეილ გარბაჩოვის სამძიმრის დეპეშა ქართველი ერისადმი. მშვიდობიანი მიტინგი ხომ საბჭოთა ჯარის ნაწილებმა დაარბია, შემდეგ კი სამძიმარი...

უდიდესი ტრაგედიის მიუხედავად, 1989 წლის 9 აპრილი მნიშვნელოვან მოვლენად იქცა იმთავითვე, რამეთუ, 9 აპრილი და მსგავსი მოვლენები იქცა საბჭოთა კავშირის დასასრულის დასაწყისად.

ორიოდე წელი გავიდა 9 აპრილიდან და...

1991 წლის 9 აპრილი...

საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია...

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე, ზვიად გამსახურდია აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე.

ასრულდა ოცნება...

მიზანი მიღწეულია...

არსებობის პირველ წუთებს ითვლიდა, ახლებურად წერდა მეისტორიე _ დრო კვლავ აღმდგარი ქვეყნის ისტორიას.

საზეიმო, საამაყო, ისტორიული მოვლენა გახლდათ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერის ცერემონიალი.

სამწუხაროდ, უკვე მომხდარი იყო ბორითის ტრაგედია.

საქართველოს უკვე აღარ ჰყავდა მერაბ კოსტავა, ეროვნული გმირი, რომელიც ვერ მოესწრო ნანატრი მიზნის მიღწევას _ მამულის თავისუფლებას.

საოცრად სიმბოლური იყო, რომ დამოუკიდებლობის აქტს ხელი მერაბ კოსტავას დედამ, ქალბატონმა ოლღა დემურია-კოსტავამ მოაწერა.


საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

ოცდახუთი წელი გავიდა 1991 წლის ისტორიული 9 აპრილიდან.

მართალია, ქართველი ერისთვის ია-ვარდით არ ყოფილა ფენილი ეს წლები, თუმცა, ფორმაციათა ცვალებადობას ყოველთვის თან ახლავს სირთულეები, ასე იყო, ასეა საქართველოს შემთხვევაშიც.

საუკუნის მეოთხედი გავიდა 1991 წლის ისტორიული 9 აპრილიდან... დღესაც გაუნელებელი სევდით, მწუხარებით ვიგონებთ თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, რომელბმაც მეოცე საუკუნის მიწურულს გაიმეორეს, განაახლეს, ღირსეულ მამულიშვილთა საქმენი საგმირონი.

ოცდახუთი წელი გავიდა 1991 წლის ისტორიული 9 აპრილიდან, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებიდან.

სამარადისო დიდება გმირებს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!

---

## 24 მარტი ტუბერკულოზის საერთაშორისო დღეა!

## რა უნდა ვიცოდეთ ტუბერკულოზის შესახებ

ტუბერკულოზი გადამდები დაავადებაა, რომელსაც იწვევს ტუბერკულოზის ბაქტერია. ტუბერკულოზი ერთი ადამიანიდან მეორეს ჰაერით გადაეცემა. ტუბერკულოზის ბაქტერიით შეიძლება დაინფიცირდეს ნებისმიერი, თუ ის ჩაისუნთქავს იმ ჰაერს, რომელიც ბაქტერიას შეიცავს. ბაქტერია კი ჰაერში ხვდება ტუბერკულოზის გადამდები, ე. წ. ''ღია'' ფორმით დაავადებული პაციენტის ხველის, ცემინების ან ლაპარაკის დროს.

ტუბერკულოზი ჯერ კიდევ რჩება მსოფლიო ჯანდაცვის პრობლემად. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გაანგარიშებით, მსოფლიოში აქტიური ტუბერკულოზით ყოველწლიურად ავადდება 9 მილიონამდე ადამიანი და იღუპება, დაახლოებით, 2 მილიონი.

საქართველოში სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე მერყეობს 4,0-5,0 ფარგლებში.

2015 წელს საქართველოში რეგისტრირდა ტუბერკულოზის 3609, ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტში 30 შემთხვევა. მ. შ. ''ღია'' ფორმით 15. ყველა მათგანი ჩაბმულია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობაში გამოკვლეულია კონტაქტში მყოფი პირები.

უფრო მეტად ტუბერკულოზით ავადდება 24-55 წლის პირები, რაც გადაცემის გზებიდან გამომდინარე ადვილად ასახსნელია _ ადგილი აქვს მეტ კომუნიკაციას ადამიანებს შორის.




მამაკაცებში საშუალოდ სამჯერ მეტია გავრცელება, ვიდრე ქალებში. მამაკაცი 2560 (70,9%), ქალი 1049 (29,1%).

***ტუბერკულოზი არ გადაეცემა:***

ტუბერკულოზით დაავადებული პიროვნებების ნივთებთან შეხებით.

ხელის ჩამორთმევით.

საკვებითა და სასმელით.

ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიის ორგანიზმში მოხვედრისას ადამიანების დიდ ნაწილში ორგანიზმი თავად უმკლავდება მას და, შესაბამისად, ეს პიროვნება ავად არ ხდება. მას ''ლატენტური'' ტუბერკულოზი ეწოდება. შესაძლებელია, ორგანიზმში ''მძინებული'' ბაქტერიის გააქტიურების შედეგად განვითარდეს აქტიური ტუბერკულოზი. ძირითადად, ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანის იმუნური სისტემა დაუძლურებულია სხვა რომელიმე დაავადების, მაგალითად, ''აივ'' ინფექციის (შიდსის) ან შაქრიანი დიაბეტის გამო.

ზოგი ადამიანი კი, ტუბერკულოზის ბაქტერიის შემცველი ჰაერის ჩასუნთქვიდან რამდენიმე დღეში, კვირასა ან თვეში ავადდება და, ამგვარად ის ხდება აქტიური ტუბერკულოზით დაავადებული. ტუბერკულოზი შეიძლება იყოს რეგულარული (სენსიტიური, ცენტრალური, მგრძნობიარე) ან რეზისტენტული (მდგრადი, გამძლე).

რეგულარული ტუბერკულოზის დროს ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერია მგრძნობიარეა ყველა ძირითადი ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტის მიმართ. რეზისტენტული ტუბერკულოზის დროს კი, ორგანიზმში არსებული ტუბერკულოზის ბაქტერია გამძლეა ტუბსაწინააღმდეგო ერთი ან მეტი მედიკამენტის მიმართ.

ტუბერკულოზი უმეტესად აზიანებს ფილტვებს. თუმცა შეიძლება დააზიანოს ნებისმიერი სხვა ორგანო.

***ფილტვის ტუბერკულოზზე საეჭვო ნიშნებია:***

2 კვირაზე მეტად გახანგრძლივებული ხველა.

სისხლიანი ნახველი.

ტკივილი გულმკერდის არეში.

სუნთქვის გაძნელება.

***ტუბერკულოზისათვის დამახასიათებელი ზოგადი კლინიკური ნიშნებია:***

წონაში კლება.

საერთო სისუსტე.

ტემპერატურის მომატება.

ღამის ოფლიანობა, უმადობა.

ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც აღენიშნება ტუბერკულოზისათვის დამახასიათებელი სიმპტომები, უნდა მიმართოს ექიმს გამოკვლევებისათვის. დადასტურების შემთხვევაში ექიმი ნიშნავს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობას. ექიმის დანიშნულების სრულად შესრულების შემთხვევაში ტუბერკულოზი განკურნებადია.

***სამტრედიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი***

# ქვეყნის აღმშენებლობა ჟურნალისტის მართალ სიტყვაზეც არის დამოკიდებული

ნინო ნანიტაშვილი

***21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა. პროფესიულ დღესასწაულს ყოველწლიურად და ყველაზე ემოციურად თავად ჟურნალისტები ელოდებიან. წელსაც ასე მოხდა: სამტრედიაში მოქმედმა საინფორმაციო საშუალებებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, 21 მარტს “ღია კარის დღე” მოეწყოთ. მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე რამდენიმე დღით ადრე დააანონსეს, პირველ საათზე სამტრედიელი ჟურნალისტები “ღია კარის დღეს” აწყობდნენ და სასაუბროდ იწვევდნენ პოლიტიკოსებს, საზოგადოების წარმომადგენლებს. შეხვედრა შედგა: ძირითადი მასპინძლები მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრი და გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იყვნენ.***



ღია კარის დღესთან დაკავშირებით ინფორმაცია ჟურნალისტების მხრიდან ზეპირი გზებითაც გავრცელდა. ჩემი კოლეგები მილოცვებს დილიდანვე იღებდნენ SMS შეტყობინებებით, რედაქციაში აქტიური მკითხველების სტუმრობით.

ქართული ჟურნალისტიკის დღე სამტრედიელ ჟურნალისტებს საინფორმაციო ცენტრში სტუმრობითა და სადღესასწაულო ტორტით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიულოცეს. მათ შორის, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, კობა ძიძიგურმა, სამტრედიის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის, გიორგი კახიანის ბიუროს ხელმძღვანელმა, თინათინ ხარძიანმა, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა და დირექტორის მოადგილემ ლამარა დუნდუამ და მზია ჩიხლაძემ, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელმა ილია ქარჩილაძემ, “სამტრედიის მაცნეს” აქტიურმა მკითხველმა გურამ ერქვანიძემ და სხვებმა.



ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი: “პირველ რიგში, ამ ღირსშესანიშნავ დღეს მივულოცავ ჟურნალისტებს. ეს არის მე-4 ხელისუფლება, მე ვთვლი, რომ ყველაზე მაღალი ხელისუფლება, რაც შეიძლება არსებობდეს. სურვილს გამოვთქვამდი, რომ ჟურნალისტური საქმიანობა მართალი სიტყვის თქმას ემსახურებოდეს და იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი არა მარტო სახელმწიფოსაგან, არამედ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებისგან. ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს განვითარების საქმეში ჟურნალისტებს გაცილებით გადამწყვეტი სიტყვა ეთქმით, ვიდრე ნებისმიერ პოლიტიკოსს. განვმეორდები და ვიტყვი, რომ მასმედიის საშუალებები პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს მართლის თქმის პრინციპს და ქვეყნის ინეტერესების სამსახურში უნდა იდგეს”.

ნუგზარ ჯამბურია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: “სიამოვნებით მივულოცავ ქართველ ჟურნალისტებს პროფესიულ დღესასწაულს, ვუსურვებ მათ შემოქმედებით წარმატებებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჟურნალისტები კეთილსინდისიერად, მაღალპროფესიონალურ დონეზე ემსახურებიან თავისუფალი სიტყვის საზოგადოებამდე მიტანას და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას მთელი ქვეყნის მასშტაბით”.

კობა ძიძიგური, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: “ჟურნალისტიკა მე-4 ხელისუფლებაა. ჟურნალისტებიც სერიოზულ ფიგურებად მოგვევლინებიან ხოლმე. როგორც სწორედ მე-4 ხელისუფლების წარმომადგენლები ისინი სერიოზულ ბერკეტებს ფლობენ, ხელისუფლების სამ შტოსთან მიმართებაში და ასევე, საზოგადოებასთან მიმართებაში. ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ სტატიებს წერს ჟურნალისტი, მიმაჩნია, რომ აუცილებელია, ჟურნალისტი იყოს ობიექტური და სამართლიანი, რადგან ხელისუფლების სამი შტოსაგან განსხვავებით ჟურნალისტებს შედარებით ნაკლები პასუხისმგებლობა აქვთ სამართლებრივად თავიანთი სტატიების გამო. თუმცა რეალურად შედეგი შეიძლება იყოს ხშირ შემთხვევაში ძალიან ცუდი, თუკი ჟურნალისტმა არაობიექტურად, ან უსამართლოდ გააშუქა რომელიმე ამბავი.



სამტრედიაში ამ კუთხით სიტუაცია ძირითადად მოწესრიგებულია. ჟურნალისტები თავიანთ მოვალეობას კარგად ასრულებენ. ვუსურვებ, ამ სფეროს ყველა წარმომადგენელს მთავარი პრინციპები, სამართლიანობა და ობიექტურობა ყოველთვის ჰქონდეთ წინა პლანზე წამოწეული”.



21 მარტს ძველი ჟურნალისტური მოღვაწეობა გაიხსენა და მედიის წარმომადგენლებს დასამახსოვრებელი სიტყვა უთხრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, “რესპუბლიკური პარტიის” რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, იმედა გოგავამ: “მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, თქვენს ქომაგებს და გულშემატკივრებს (საკუთარ, მოკრძალებულ პერსონასაც) გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს... თქვენ ყველას, უზარმაზარ პასუხისმგებლობასთან ერთად ძალიან დიდი ვალდებულება გაკისრიათ, რომ ჩვენი საზოგადოება გაცილებით ინფორმირებული, ჭკუადამჯდარი, დაკვირვებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მომავალზე ორიენტირებული იყოს... კარგად ვიცი, რამდენად რთულია მჭიდროდ “დახშული” უწყებებიდან “დალუქული” ინფორმაციების მოძიება, რამდენად სახიფათოა, რამდენი ნერვიულობა და უფლებების “კაჩავი” ახლავს ხოლმე ამ ყველაფერს და რამდენად საამაყოა, ამდენი პერიპეტიების შემდეგ შენი სახელით გამოქვეყნებული სტატია თუ მომზადებული სიუჟეტი მზის სინათლეს რომ იხილავს. ამ სიტყვების და ემოციის ფასი ჟურნალისტებმა ნამდვილად იციან. მოგიწოდებთ, რომ არასოდეს წახვიდეთ კომპრომისზე ობიექტურობასთან, არასოდეს შეეცადოთ ხელისუფლებასთან გარიგებას, მათთვის გუნდრუკის კმევას. იყავით კიდევ უფრო მეტად კრიტიკულები, პრინციპულები, ობიექტურები, დასვით აქტუალური კითხვები, დაწერეთ და თქვით, რას ფიქრობენ, რა აწუხებთ და ეიმედებათ ჩვენს მოქალაქეებს. მოახდინეთ თქვენი შეხედულებების, აზრების და ემოციების უფრო უხვად და გაცილებით მეტი ინტენსივობით, მედიით ტირაჟირება... გამძლეობას და წარმატებებს გისურვებთ, ჟურნალისტებო, თქვენი ობიექტურობის იმედი ყოველთვის მაქვს...”



თინათინ ხარძიანი, სამტრედიის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის, გიორგი კახიანის ბიუროს ხელმძღვანელი: “ვულოცავ მე-4 ხელისუფლების წარმომადგენლებს, კონკრეტულად ქართველ ჟურნალისტებს ქართული ჟურნალისტიკის დღეს. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული ის ვალდებულება, რაც საზოგადოების წინაშე გააჩნიათ, რაც დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს.

მიხარია და ამაყი ვარ, რომ მყავს ბევრი მეგობარი ჟურნალისტი, მაქვს მათი იმედი და მჯერა, რომ ობიექტურად და სამართლიანად იქნება გაშუქებული ესა თუ ის საკითხი”.

მომავალი კარიერული წინსვლა ჟურნალისტებმა ერთმანეთს უსურვეს. პროფესიულ დღესასწაულზე რამდენიმე მათგანმა “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარიც ჩაწერა.

სოფიო კირთაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრის უფროსი:

“21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა. ეს მე ვიცოდი 23 წლის წინ. თუმცა ამ დღემ ჩემთვის განსხვავებული მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც ჟურნალისტიკა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა. იყო ჟურნალისტი, ჩემთვის ნიშნავს, იყო მართალი, ბოლომდე იხარჯებოდე საზოგადოებისათვის, იყო აქტიური მოქალაქე და აზროვნებდე სახელმწიფოებრივად. წელს 21 მარტი სამტრედიელმა ჟურნალისტებმა არატრადიციულად, არაფორმალურ გარემოში გავმართეთ. ღია კარის ფორმატით ჩატარებული აქტივობა ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა, ვინაიდან სტუმართა შორის იყვნენ როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომლებმაც გულწრფელად შეაფასეს კონკრეტულად სამტრედიელი ჟურნალისტების მუშაობა. იყო რეგიონის ჟურნალისტი და დაიმკვიდრო საპატიო ადგილი, გახდე ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, ეს არ არის მარტივი. მემაყება, რომ სამტრედიაში ყველა მედია-საშუალება არსებობს, რაც დროს პასუხობს და საკმაოდ წარმატებულადაც. ჩემო კოლეგებო, გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს, ძლიერი და მართალი კალამი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.”

ლევან გაბეჩავა, გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი:

“პირველ ყოვლისა პროფესიული დღე მინდა, მივულოცო კოლეგებს და წარმატებები ვუსურვო მათ.

წინა წლებთან შედარებით მედია რომ თავისუფალია, სადავო არაა, თუმცა, ერთი აუცილებლად უნდა აღინიშნოს, არ ხდება მედიის მიერ გამოთქმული შენიშვნების სათანადო რეაგირება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეისათვის ჟურნალისტის მიერ ნათქვამ მართალ სიტყვას. გულსატკენია, რომ დღესაც მრავლად არიან ტენდენციური, ჯიბის ჟურნალისტები, რაც საფრთხეს უქმნის თავისუფალი აზრის გამოხატვას, მართალი ინფორმაციის მიწოდებას მასებისათვის.”

თეა ბაბუნაშვილი, გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” გამომშვები რედაქტორი:

“21 მარტი ჩემთვის არის დღე, დღესასწაულად ქცეული. ჭინჭყლი მარტის ჟინიანობა ძალიან ახლოს არის ჩემს ხასიათთან, მაგრამ რომ ვაკვირდები, ჩემი პროფესიის ხასიათთანაც ახლოს არის, მგონია. არ ვიცი რატომ, მაგრამ ასე ვფიქრობ. ყველას გილოცავთ ამ დღეს კოლეგებო და არა მარტო კოლეგებო! დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ადამიანი, რაოდენ დიდ აგრესიასაც არ უნდა გამოხატავდეს ჟურნალისტების მისამართით, გარკვეულწილად მაინც უსმენს მათ, სჯერა და ეთანხმება. ჟურნალისტიკა კი ისეთია დღეს, როგორიც ვართ ჩვენ, საზოგადოება და ქვეყანა. ამ სიტყვებს რომ ვამბობ, ჩემს

# სათნოების სახლი ღანირის სკოლელებმა ასხმიანეს

ნათია ნაცვლიშვილი

***2007 წლიდან ამ სახლს იმედის, სითბოს, სიყვარულის, სათნოების ნავსაყუდელი ჰქვია. აქ ბინას იდებენ სიბერესთან შეხვედრის შემდეგ, ზოგი დაუოჯახებელია, ინტელიგენტური წარსულის მოგონებებით იცლავს ახლა დროს ამ კედლებში, ზოგიც, ოჯახურ ყოფას გაექცა, ახლა მათზე სახელმწიფო ზრუნავს, ექიდებიან სიბერის წლებს და ნებისმიერ სტუმარს, ვინც მათი სახლის ზღურბლს გადააბიჯებს, ბედნიერი ღიმილით ეგებებიან.***

უკვე ტრადიციად აქციეს სხვადასხვა ორგანიზაციებმა ამ სახლის ბინადართა მონახულება, მათი გამხნევება, აქ ღონისძიებების გამართვა. ამჯერად, მათი სტუმრები ღანირის საჯარო სკოლელები არიან. მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლები, სკოლის დირექტორი გოჩა დანელია, პედაგოგი იამზე ყურაშვილი, რომელიც ამ სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგია და სამოქალაქო კლუბის ''მომავალი ჩვენია'' წევრები ''სათნოების სახლს'' ეწვივნენ. ღონისძიების პირველი ნაწილი დარბაზში ქალთა დღესასწაულებთან 3 მარტისა და 8 მარტთან დაკავშირებული წარმოდგენა იყო. მე-8, მე-9 და მე-10 კლასელებმა ჯერ სიტყვით, ლექსით, სიმღერით გაამხნევეს მოხუცები და შემდეგ ''სათნოების სახლის'' ეზოს განაშენიანებაში მიიღეს მონაწილეობა. მოსწავლეთა თხოვნა, მოეწოდებინათ მწვანე ნარგავები მათთვის, სიამოვნებით გაიზიარა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და მათ ერთობლივად დარგეს ნერგები.



''არასოდეს გვავიწყდებიან ეს ადამიანები, ისინი ჩვენგან დიდ სითბოსა და მზრუნველობას საჭიროებენ, მივესალმები ყველა სკოლის და ორგანიზაციის ასეთ აქტივობებს, სიამოვნებით დავუჭერთ მხარს ახალგაზრდების ამ წამოწყებას''. _ გვითხრა ვალერიანე ფოცხვერიამ.



გოჩა დანელიამ აღნიშნა: ''მიხარია, რომ უკვე ლამაზ ტრადიციად დამკვიდრდა ჩვენი სკოლის საგაზაფხულო ვიზიტები სათნოების სახლში, შარშანაც და წლეულსაც ამ ღონისძიებების ინიციატორები სამოქალაქო კლუბები იყვნენ, წელს ფორმატი ოდნავ შევცვალეთ და მწვანე ნარგავებს ვრგავთ, იმედია, მალე აქ ლამაზი პარკი გაშენდება''.

80 წელი გავიდა, თორემ სიბერე არ შემომპარვიაო, გაანდო თავისი გულისტკივილი ქალბატონმა ჯულიეტა ბერულავამ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილს, რომელიც ქალბატონ ჯულიეტასთან ერთად აჰყვა ჰანგებს და იცეკვა.

მოხუცების სახეებზე აღბეჭდილი ღიმილი კი მათი მხრიდან გამოთქმული ყველაზე დიდი სამადლობელია და მოწოდება იმისთვის, რომ ამ სახლის ბინადართა მონახულება არ დავივიწყოთ. დღესდღეობით ამ სახლში ოცდაორი ბენეფიციარია, სულ ახლახან ერთი მოხუცი ოჯახს, თბილ კერას დაუბრუნდა.



# ქართველი ჟურნალისტი უკრაინის ეროვნული გმირი



უკრაინაში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტის, გიორგი ღონღაძის პროფესიულ სიმამაცეზე, ობიექტურობასა და აღსასრულზე ''სამტრედიის მაცნე'' წლების წინ წერდა.

მაშინ მკითხველი ბლომად ჰყავდა ჟურნალისტის მეუღლის _ მიროსლავა ღონღაძის წერილებს...

წლები გავიდა მისი გარდაცვალებიდან და...

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ გიორგი ღონღაძეს უკრაინის ეროვნული გმირის საპატიო წოდება მიანიჭა (სიკვდილის შემდეგ), რითაც შეუდრეკელი ჟურნალისტისადმი უკრაინელი ხალხის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გაუსვა ხაზი.

ლევან გაბუნავა

თანაკურსელთან ჩაწერილი ინტერვიუ მახსენდება, რა პროდუქტსაც შესთავაზებ მკითხველს, იმას მიიღებსო, რომ მითხრა. და მეც იმედი მაქვს, საბოლოოდ გაყვითლებამდე ბევრი გვიკლია. ჩვენ კი, ჩვენ, ჟურნალისტებს ერთმანეთი აგვეტანოს, გაგვეტანოს, პროფესიონალიზმი და თავხედობა ერთმანეთში არ შეგვშლოდეს, სიტყვა არ გაგვმრუდებოდეს, ტყუილ-მართალი არ აგვრეოდეს, საკუთარი საქმის სიყვარული არ გაგვნელებოდეს, საზოგადოების პატივისცემა არ მოგვკლებოდეს, იმედი არ გაგვეცრუებინოს მათთვის, ვისაც ვეიმედებით.

კიდევ ბევრჯერ მოვა 21 მარტი და იმედია, საკუთარ დღესასწაულს ჩვენი მეშვეობით ქართული ჟურნალისტიკა პროფესიონალური სადავეების სიმაღლიდან იზეიმებს. რაც შეეხება ხელისუფლებას, მათგან საყვედურები საამაყოც კია. ყოველ შემთხვევაში, არც არასდროს ვყოფილვარ ხელისუფლებისთვის მისაღები ჟურნალისტი და ვცდილობ, ასეთად დავრჩე. ვეცდები, ეს შევძლო! ეს ჟურნალისტიკასთან მიმართებაში, თორემ, როგორც ჩვენმა მთავარმა რედაქტორმა ამ შეხვედრაზე აღნიშნა, ''ჩვენ არ ვართ ბოროტები, ჟურნალისტები ვართ!'' და ამ გაგებით, მეც მინდა, ვიყო ჟურნალისტი!

ნათია ნაცვლიშვილი, გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' ჟურნალისტი:

''ვულოცავ ყველა ჟურნალისტს, ქართული მედიის ყველა ცნობად თუ არაცნობად სახეს დღევანდელ დღეს და პროფესიულ წარმატებებს ვუსურვებ. ჟურნალისტიკა ესაა ყველაზე რისკიანი, ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პროფესია, რომელსაც ინტელექტი და პროფესიული ეთიკა უნდა უმაგრებდეს ზურგს. სხვა შემთხვევაში შენს ნაწერს მკითხველი მოისვრის, შენს სიუჟეტს აღარ უყურებს... ვუსურვებ ჩემს კოლეგებს თავგანწირვით, ღირსებით და ''ხალხის სადარაჯოზე მდგომი ნაგაზის'' ერთგულებით ეკეთებინოთ თავიანთი საქმე, მიეწოდებინოთ მკითხველისთვის სანდო და ობიექტური ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, ეამება თუ არა იგი მავანს''.

ნათია იობაძე, საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი:

''საქართველოში 21 მარტი წელს 23-ედ აღინიშნა. პროფესიული დღესასწაული, რომელიც საქართველოს ეროვნული მთავრობის ინიციატივით დაწესდა, მოქმედ ჟურნალისტებს აერთიანებს და კიდევ ერთხელ ახსენებს, რამდენად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეს ემსახურებიან ისინი.

რთულზე რთული პროფესიაა, თუმცა იმდენად საინტერესო, რომ მუდმივად სიახლის ძიებაში მყოფს სირთულეებზე ფიქრის დრო არ გრჩება.

მიხარია, რომ სამტრედიაში ბევრი კარგი ჟურნალისტი მოღვაწეობს. თითოეულ მათგანს ვეფერები და ვულოცავ ქართული ჟურნალისტიკის დღეს. ჯანმრთელობასა და კარიერულ წინსვლას ვუსურვებ მათ''.

სალომე მიქელთაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი:

''21 მარტი, ქართული ჟურნალისტიკის დღე, 1993 წლიდან აღინიშნება. ამ პერიოდის განმავლობაში, ეს დარგი ისევე ვითარდებოდა, როგორც ქართული საზოგადოება. ჟურნალისტიკა არ არის ადვილი პროფესია. ძალიან ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ყველა ჟურნალისტს ვულოცავ პროფესიულ დღეს! წინსვლას, განვითარებასა და ადამიანურობის შენარჩუნებას ვუსურვებ. იყო ჟურნალისტი, ნიშნავს, რომ შეძლო მუდმივი განვითარება, ზრდა და შენი პროფესიისთვის ბევრი სირთულის დაძლევა''.

შოთა პაპავა, გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' მხატვარ-კარიკატურისტი:

''ტაში არასდროს გითხოვიათ, თქვენი კალამი იმსახურებდა მას...

არც ფლიდი გრძნობების ნამდვილობა გიმტკიცებიათ...

ისმოდა თქვენი ხმაური და სიჩუმე...

მოკეთენი უმცდარ სიტყვას დღემდე შეისმენენ...

''მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი!''

გიმოძრავიათ არსებობისთვისაც...

მოძრაობთ სიმართლისთვის...

იმოძრავებთ მომავლისთვის...

ქართული ჟურნალისტიკის დღეს გილოცავთ!''

ქეთევან ჭელიძე, გაზეთ ''სამტრედიის მაცნს'' მთავარი რედაქტორი: ''21 მარტი მნიშვნელოვანი დღეა ჟურნალისტებისათვის. იგი კიდევ ერთხელ დაგაფიქრებს საკუთარ პასუხისმგებლობაზე და სტიმულს გაძლევს, მთლიანად დაიხარჯო საქმისთვის.

ჟურნალისტიკა ინფორმაციის მიწოდების ხელოვნებაა. ამას რამდენად ვახერხებთ, მკითხველი შეგვაფასებს. საზოგადოებრივი აზრი არ უნდა ეწირებოდეს პროფესიულ ეგოიზმს. ''სამტრედიის მაცნეც'' ყოველთვის იცავდა იმ ძირითად პრინციპებს, რაზეც ნებისმიერმა ჟურნალისტმა უნდა ააგოს თავისი მუშაობა. ჟურნალისტს უნდა ენდობოდეს მკითხველი, თუნდაც, კრიტიკის ობიექტი, ეჭვი არ უნდა შეჰქონდეს მის სამართლიანობაში.

ინტერნეტმედიამ ოპერატიულობა წაართვა გაზეთს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა დაკნინდა. თუმცა, პრესის გავრცელებას, ზოგადად საქართველოში და მათ შორის სამტრედიაში, წინააღმდეგობები აქვს. მკითხველის ნაკლებობას არა ჟურნალ-გაზეთებისადმი ინტერესის დაკარგვა, არამედ ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი განსაზღვრავს.

''სამტრედიის მაცნემ'' თავისი არსებობის მანძილზე სხვადასხვა პერიოდი გამოიარა. იყო კომუნისტების დრო, შემდეგ შევარდნაძის მმართველობა, როცა ჟურნალისტიკა თავისუფალი იყო, მაგრამ ''წერე და იკითხეს'' პოზიციას ვერ გასცდა. ''ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' პრესის და ტელევიზიის თავისუფლება მთლიანად შეზღუდა. რა თქმა უნდა, ჩვენიც. ახალმა ხელისუფლებამ სიტყვის დემოკრატია მოიტანა, ვწერთ რაზეც და როგორც გვინდა, მაგრამ ისევ ჟურნალისტიკის პრინციპების გათვალისწინებით.

ქვეყნის აღმშენებლობისთვის აუცილებელია, ჟურნალისტს ყოველთვის ჰქონდეს მართალი სიტყვის თქმის საშუალება.

ვულოცავ ჩემს კოლეგებს დღესასწაულს და წარმატებებს ვუსურვებ მათ!''

# კონსტანტინე გამსახურდია: "თავად განსაჯეთ, არის თუ არა ზვიად გამსახურდია დაფასებული"

ნათია ნაცვლიშვილი

***სამტრედია ყოველთვის იყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ეპიცენტრი. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში გაჩაღებულ თავისუფლების ნაღვერდალს ამ ქალაქში სულს განსაკუთრებულად უბერავდნენ, დიდ ეროვნულ ცეცხლად რომ ექციათ და ასეც მოხდა. სამტრედიელებს ეძვირფასებათ ზვიად გამსახურდიას მიერ მოწერილი წერილი, რომელიც ეროვნულმა მოღვაწემ მაშინ გამოგზავნა, როცა სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვის საპროტესტო აქციამ საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნების ბედი გადაწყვიტა. "საქართველოს ბედი კოლხეთის უძველეს მიწაზე უნდა გადაწყვეტილიყო და ასეც მოხდა". _ წერდა ზვიად გამსახურდია.***

***თავადვე ვარ მომსწრე, რა მღელვარე და ემოციური დღე იყო, როცა ქალაქის ცენტრში, იმ ადგილას, სადაც ახლა წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი დგას, შემაღლებულ ადგილზე სამტრედიელებთან შეხვედრა მოაწყო ზვიად გამსახურდიამ. მან უამრავ საინტერესო კითხვას გასცა პასუხი, ფრაზები ამ შეხვედრიდან დღესაც კარგად გვახსოვს სამტრედიელებს.***

***31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა, წლეულს მას 77 წელი შეუსრულდებოდა. ზვიად გამსახურდია სიმბოლოა ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლისა და თავდადებისა. ის ჯერ დაამხეს, სამშობლოს ღალატის უმძიმესი ბრალდება წაუყენეს, შემდეგ კი ეროვნულ გმირად გამოაცხადეს. ესაა მისი ტრაგიზმი და ბრწყინვალება. 31 მარტი საქართველოში მის მიერ ჩატარებული რეფერენდუმის დღეცაა, როცა ქართველმა ერმა ერთხმად უპასუხა დადებითად სარეფერენდუმო შეკითხვას: გსურთ თუ არა აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წ. 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?***

***"სამტრედიის მაცნე" ყოველწლიურად ეხმიანება ამ თარიღს. ამჯერად გადავწყვიტეთ, ზვიად გამსახურდიას შესახებ "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებიდან მწერლის ვაჟს, მეცნიერსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, კონსტანტინე გამსახურდიას ესაუბრა.***





**_ ნებისმიერი პიროვნების ღვაწლის შესაფასებლად ისტორიას დრო სჭირდება. როგორ ფიქრობთ, მრავალი წლის შემდეგ შეაფასა და დააფასა თუ არა საქართველომ სათანადოდ და ღირსეულად საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ღვაწლი?**

_ ისტორია ნამდვილად მსაჯულია, უფრო ზუსტად მსაჯულნი არიან ის ადამიანები, რომლებიც ისტორიაში სწორედ ცოდნით, კვალიფიკაციით, რთული პოლიტიკური და ისტორიული მიმართებების განჭვრეტის უნარით არიან გამორჩეულნი. სწორედ ასეთმა კომპეტენტურებმა უნდა იმსჯელონ ზვიად გამსახურდიაზე და არა ღვარძლიანმა კაცუნებმა, რომლებიც 10 ფაქტიდან 5-ს მაინც აყალბებენ. ერთის მხრივ ზვიად გამსახურდია მადლიერმა ქართველმა ერმა და სახელმწიფომ მთაწმინდის პანთეონში დაკრძალა, იქ, სადაც კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების გამორჩეული მოღვაწეები განისვენებენ; არსებობს მისი სახელობის სტიპენდიაც, თუმცა ფილოლოგიაში. ასევე, მის სამეცნიერო შრომებს, ასე თუ ისე, იცნობს საზოგადოება. თუმცა მისი, როგორც პოლიტიკოსის და სახელმწიფო კაცის გამონათქვამები, ინტერვიუები და განცხადებები სულ 500 ტირაჟითაა გამოცემული. ანუ ჩათვალეთ, რომ საზოგადოებამდე ეს ვერ მიდის და უცნობი რჩება.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე 2 დღით ადრე გმირის წოდება მიანიჭა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას, თუმცა ადრე რომ ექნა ეს, ალბათ, უკეთესი იქნებოდა. ამასთანავე, არ არსებობს ზვიად გამსახურდიას ძეგლი არსად, გარდა ზუგდიდისა, თბილისში არ არის მისი სახელობის მცირე ქუჩაც კი. თბილისის აეროპორტს შულერული მეთოდების გამოყენებით არ დაერქვა მისი სახელი. ამიტომ თავად განსაჯეთ, არის თუ არა დაფასებული.

**_ თქვენთან შეხვედრების დროს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უბრალო ადამიანები როგორ იხსენებენ ზვიად გამსახურდიას?**

_ ჩემთან შეხვედრის დროს ბევრი ადამიანი იხსენებდა. მით უფრო მაშინ, როდესაც მე, როგორც დროებითი საპარლამენტო კომისიის თამჯდომარე ვაწარმოებდი მოკვლევას მის გადაადგილებაზე სამეგრელოს რეგიონში, სადაც მას სპეცდანიშნულების 2 რაზმი ფეხდაფეხ სდევდა. ადამიანები ხშირად ძალიან ემოციურად რეაგირებდნენ ჩემს დანახვაზე. არაერთხელ შემინიშნავს ცრემლი მათ თვალებზე, როდესაც იხსენებდნენ საქართველოს პირველ პრეზიდენტს.

**_ ამ პიროვნებაში პოლიტიკოსი მეტი იყო თუ ეროვნული მოღვაწე?**

_ თუ პოლიტიკოსი თაღლითს, არამზადას და უპასუხისმგებლო მატყუარას ნიშნავს, ასეთი პოლიტიკოსი ზვიად გამსახურდიაში საერთოდ არ იყო. თუ პოლიტიკოსი ნიშნავს სახელმწიფო კაცს, ვინც კონკრეტულ შედეგებს დებს _ ზვიად გამსახურდია ასეთი სახელმწიფო კაცი ნამდვილად იყო. მან უზარმაზარი შრომა გასწია სამოქალაქო ცნობიერების გამოღვიძებაში, ჩაატარებინა პირველი მრავალპარტიული, არაკომუნისტური არჩევნები საქართველოში, ჩაატარა რეფერენდუმი, გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამაზე ცოტა ხნით ადრე მან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან, ბორის ელცინთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა, სადაც რუსეთმა აღიარა საქართველოს მიერ შიდა ქართლში გადადგმული ყველა ნაბიჯის მართლზომიერება. მანვე მოაგვარა უაღრესად დაძაბული სიტუაცია აფხაზეთში 1991 წლის შემოდგომაზე და დაიწყო ერთგვარი სამშვიდობო პროცესი, რაც შესაძლოა სამომავლოდ საკმაოდ გამოგვადგეს.

**_ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის შესახებ მსჯელობა დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. მავანის აზრით, ქვეყნის მართვის გამსახურდიასეული კურსი იმთავითვე წარუმატებელი იყო, რადგან პრეზიდენტი "დინების საწინააღმდეგოდ" მიდიოდა. რას ეტყოდით ამ პოზიციის მქონეთ?**

_ ვინც დღემდე "წარუმატებელ კურსზე" საუბრობს, ეს ადამიანები გულში დღემდე გლოვობენ სსრკ-ს დაშლის გამო. ისინი გამუდმებით საუბრობენ 37 მანეთიან ბილეთებზე, პრივილეგირებული "ნაცმენის" მდგომარეობას შენატრიან, მათ იტაცებთ პარაზიტული ცხოვრება იმპერიის "ცენტრის" ხარჯზე. "დინება" იმ წლებში გულისხმობდა საბჭოთა იმპერიის კოსმეტიკურ შელამაზებას და ცხადია, მის შენარჩუნებას. აშშ-მ, მაგალითად, დიდხანს ვერ გაარკვია, უნდოდა თუ არა სსრკ-ს დაშლა. ხოლო ევროპის პოლიტიკოსები ისევე როგორც დღეს, მაშინაც იგივე თამაშს თამაშობდნენ, რაც რუსეთისთვის სახის შენარჩუნებას გულისხმობდა. ზვიად გამსახურდიას რომ ეს დამპალი თამაში ეთამაშა, დღეს ალბათ სხვა გეოპოლიტიკური რეალობა გვექნებოდა. თუმცა გმირი არავის თვალში არ იქნებოდა დიდი ალბათობით.

**_ როგორ აღნიშნავთ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეებს? სიცოცხლე გრძელდება, თქვენი ვაჟი, ზვიად გამსახურდია იმ დროს მოევლინა ქვეყანას, როცა ზვიად გამსახურდიას ცხოვრებაში მძიმე დღეები იდგა, მისი ხელისუფლება ქვეყნიდან გაძევებული იყო. დღეს რას საქმიანობს ზვიად გამსახურდია უმცროსი?**

_ ჩემს ბავშვობაში, გულწრფელად გითხრათ, მე არ მახსოვს მამაჩემის დაბადების დღე ვინმეს პომპეზურად აღენიშნა. შეიძლება, საოჯახო კონცერტი მოეწყოთ რამდენიმე სტუმრისთვის, სადაც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა კლასიკური მუსიკის რაიმე ნაწარმოებს დაუკრავდნენ. სულ ეს იყო. ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში ჩვენ უკვე აღვნიშნავდით რეფერენდუმის დღესთან ერთად. რაც შეეხება ჩემს უმცროს ვაჟს, ზვიადს, იგი ამჟამად ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლობს ფილოსოფიას და 1-2 თვეში ბაკალავრიც გახდება. მას საქართველო ძალიან უყვარს და ცდილობს, ხშირად ჩამოვიდეს.

# "თუ დიდ მსახიობებად არა, კარგ მაყურებლებად ჩამოვყალიბდებით!"

შოთა პაპავა

***ირწმუნეს, თუ გული გულობს და სიყვარულია, მზეს დაინახავდნენ. წითელი დისკო იტევდა იმ დღეს ყველა ემოციას. ლორიტა ჯორჯიკიას მორიგი სპექტაკლი პირველი წარმოდგენიდანვე შეიყვარა საზოგადოებამ.***

***მიუხედავად იმისა, დღევანდელობაში ომის საშინელება ნაკლები სიმძაფრით შეიგრძნობა, ყოველდღიურობაში არც იმდენი დადებითი ემოციაა, რამდენიც ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებში, სცენაზე ნაჩვენებმა მაყურებლის თანაგანცდა მაინც გამოიწვია.***

ერთიც უნდა აღინიშნოს _ გამოცდილი არტისტებისთვის პარტნიორობა უდავოდ წაადგებათ ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს. იქნებ რეჟისორის ამ გონივრულმა გადაწყვეტილებამ რომელიმე მათგანს სამომავლო პროფესიის არჩევაშიც შეუწყოს ხელი.

რამდენიმე ხნის წინ "სამტრედიის მაცნე" ვრცლად აუწყებდა მკითხველს სპექტაკლის "მე ვხედავ მზეს" პრემიერის შესახებ. სხვადასხვა როლს ბუნებრივად მორგებული მოსწავლეების შთაბეჭდილებათა შეტყობა გახდა მოტივი იმისა, კვლავ დაგვეწერა ამ თემაზე.



ჩვენი ყურადღება იმანაც მიიპყრო, რომ თხუთმეტი მოწაფიდან ექვსი სამტრედიის მე-2 საჯარო სკოლელია. პედაგოგ ნათელა ჯიმშელეიშვილს შეუთავაზებია, თეატრში მისულიყვნენ. _ თვალდახუჭულნი ვენდობით ჩვენს პირველ მასწავლებელს, წავყევით და არც ვნანობთო, _ აღნიშნეს დამწყებმა მსახიობებმა.

ფარდა დაიხურა. ოვაციები ნელ-ნელა ცხრებოდა. ახლა პარტერს მიღმა თამაშობდნენ, მოსაზრებებს უზიარებდნენ, მეგობრულ რჩევებს აძლევდნენ ერთმანეთს რეჟისორის გარშემო მყოფნი.

გულისთქმა "სამტრედიის მაცნესაც" გაანდეს.

მარიამ აბრამიშვილი, ნიკა ფხიკიძე, ნინო ბაღდავაძე: "მადლობის მეტი რა გვეთქმის. ეს პერიოდი, რეპეტიციები, გასათვალისწინებელი მითითებები, დარბაზის აღფრთოვანება არასოდეს დაგვავიწყდება. მთავარია, მონაწილეები კვლავ ერთად ვიყოთ, რაც ეჭვშეუტანლად მჯერა. იმდენად დავახლოვდით, ოჯახის წევრებივით შევკავშირდით, სხვაგვარად ყოფნა წარმოუდგენელიცაა".

ოთო ბუაძე, სესილი გოგიშვილი: "ყველაზე სასიამოვნო ის გახლავთ, რომ თეატრში მომუშავე ადამიანები (დირექტორი, რეჟისორი, მსახიობები...) ახალგაზრდებს თბილ, მეგობრულ გარემოს გვიქმნიან. ისინი ნებისმიერი ხერხით ცდილობენ, მხარში ამოგვიდგნენ, თავი უცხოდ არ გვაგრძნობინონ... თანატოლებმა მონდომებით, შრომით, მეგობრული დამოკიდებულებით, ერთმანეთის ხელშეწყობით ბევრი შევძელით".

გურამ კურეტიშვილი, გიორგი ახობაძე, ნიკა კაპანაძე: "ჩვენი ოცნება ასრულდა, შანსი მოგვეცა, ღვაწლმოსილ მსახიობებთან გვეთამაშა და მათგან ცოდნა მიგვეღო. თეატრში შეიძლება ნახო, როგორ იხარჯება რეჟისორი ბოლომდე, რომ სპექტაკლმა ხალხის მოლოდინს გადააჭარბოს. ვუყურებთ ლორიტა ჯორჯიკიას და ვხვდებით, რას ნიშნავს, იყო "თეატრისთვის შექმნილი", "სულით მსახიობი"".

თამაზ გოგიშვილი, რომან ადამია, ჯიმი ღირდალაძე, დათო გალდავა: "ამა თუ იმ ხასიათის გათავისება ადამიანისთვის მეორე ცხოვრებაა. ამ სპექტაკლმა გამბედაობა შეგვძინა, ადამიანებთან ურთიერთობა გვასწავლა და შესაძლებლობა მოგვცა მათთან კომუნიკაციისა. "მე ვხედავ მზეს" ომზე, გაჭირვებაზეა, ამავდროულად გაჯერებულია სახუმარო ელემენტებით, მაგრამ აღნიშნულ სპექტაკლში მონაწილეობა ხუმრობა სულაც არ იყო".

თებეა კარტოზია, მარიამ აბრამიშვილი, ქეთი თევზაძე: "შთაბეჭდილება ენით აღუწერელია. გახარებულნი და ამაყნი ვართ, რომ შევასრულეთ მცირე, თუმცა საინტერესო როლები. სპექტაკლში დაკავება ჩვენმა მასწავლებელმა ნათელა ჯიმშელეიშვილმა გვთხოვა. მისი დამსახურებაა _ ასეთმა პატარებმა დიდ სცენაზე ვითამაშეთ. მადლობას ვუხდით ქალბატონ ლორიტა ჯორჯიკიას. მან კიდევ უფრო შეგვაყვარა ნოდარ დუმბაძის შემოქმედება, დაგვაინტერესა თეატრით. ამბობენ, სცენის მტვერს ჩაყლაპავ და ვეღარ მოიშორებ, მსგავს ჯადოსნურ სამყაროსთან სიახლოვე უკურნებელი სენივითააო, ჩვენც ზუსტად ასე დაგვემართა. თუ დიდი მსახიობები ვერ გავხდებით, გჯეროდეთ, თეატრის გულშემატკივრები, კარგი მაყურებლები ვიქნებით".

რაღა დაგვრჩენია, წარმატებებს ვუსურვებთ სცენის მტვერნაყლაპებს და გზას დავულოცავთ დიდი თეატრებისაკენ!

# კაკო ვაშალომიძის მუსიკითა და ემოციით სავსე ცხოვრება

ქეთევან ჭელიძე

თუ ინდუსების რწმენით ბგერა ღმერთია, მისი მსახურება მადლია, რომელიც მხოლოდ რჩეულებს ეძლევათ. იმ კაცის მთელი ცხოვრებაც, რომელზეც უნდა გიამბოთ, მუსიკისადმი ხარკის გადახდაა, ღვთისაგან ბოძებული ნიჭის გამო.

''შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან საინტერესო ცხოვრება გავიარე და რომ შემეძლოს, იგივეს გავივლიდი''. _ ამბობს ცნობილი გიტარისტი კაკო ვაშალომიძე. აღიარებული როკ-ინსტრუმენტალისტი იმ თაობის წარმომადგენელია, ევროპიდან ახლად შემოჭრილ მუსიკას ჰაერივით რომ ისრუტავდა.

რიტმსაყოლილი, გატანგული მსმენელით სავსე დარბაზები, შესრულების განსხვავებული მანერა და ჩაცმის სტილი, ოვაციის გამოხატვის ორიგინალური ფორმა, ბგერა, თავისუფლებისაკენ რომ მიილტვოდა და თითქოსდა, დაკანონებულ საზღვრებს არღვევდა _ ნიჭის, გემოვნების და შესაძლებლობების _ ყველაფერი გადამდები აღმოჩნდა. ბევრისთვის ეს მხოლოდ სასიამოვნო მოგონებაა, ბატონი კაკოსთვის კი, ჰობიც, პროფესიაც და საყვარელი საქმეც.

მე-5 კლასში იყო, სკოლის ანსამბლში თავისი ხელით გაკეთებულ გიტარაზე რომ უკრავდა. პარალელურად მუსიკალურ სასწავლებელში სხვადასხვა ინსტრუმენტს ეუფლებოდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ''გორკის კლუბში'', რომლის ხელმძღვანელი ოთარ მიგინეიშვილი იყო, ანსამბლი ''ცისკარი'' ჩამოაყალიბეს. მთელი ზაფხულის განმავლობაში ანსამბლი კონცერტებს საქართველოს მასშტაბით მართავდა. პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე ''გეპეის'' საესტრადო ორკესტრის წევრი გახდა, რომლის ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი იოსებ ტულუში გახლდათ, მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორი კი _ გიორგი კალანდაძე. ორკესტრში ყოფნამ დადებითი გავლენა იქონია მის პროფესიონალიზმზე, მომავალ შემოქმედებით წარმატებებზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი კაკო ფილარმონიის ანსამბლებში იწყებს მუშაობას. მათ შორისაა ''კოლხეთი'', ''მუხამბაზი'', ''ენგური'' და სხვა. შემდეგ _ საქართველოს რადიოტელევიზიის საესტრადო სიმფონიურ ორკესტრში, რომელსაც დავით ხუროშვილი დირიჟორობდა. განსაკუთრებული იყოს მისთვის როკ-ჯგუფ ''ოკეანეში'' მოღვაწეობა.

ბატონი კაკო მრავალმხრივი მუსიკოსია. იგი მუდმივად ძიებაშია და სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. ხელმძღვანელობს საკუთარ ანსამბლს, უკრავს აკუსტიკური ჯაზის კვარტეტში, ''თბილისის დიქსილენდში'', ანსამბლ ''75''-ში. იგი ასევე ''გეპეის'' ვეტერანების ჯაზ-ორკესტრის სოლისტია. წერს მუსიკას ფილმებისთვის და გამოუშვა რამდენიმე სოლო ალბომი. ამ ყველაფერს ვასწრებო, _ დასძენს.

როკი და ჯაზი _ მხოლოდ ეს ორი მიმართულება ჰქონდა მის თაობას ასარჩევი. დღეს სტილისა და ჟანრის დიდი არჩევანია და იბნევა ადამიანიო,


კაკო ვაშალომიძე ცნობილ საქსაფონისტთან, ირაკლი კალმახელიძესთან ერთად

_ თქვა. სასურველია, თანაბრად იყოს გაჯერებული მუსიკალური სივრცე, რომ მსმენელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. ამბობს, რომ მუზა თავისით არ მოდის, მას ყოველთვის აქვს წინაპირობა და ეს კარგი მუსიკაა.

''არასოდეს ვუსმენ დაბალი დონის პოპ-მუსიკას, ისეთს, რომელიც არაფერს გაძლევს, _ გვიკონკრეტებს იგი. _ მუსიკა ენერგეტიკა, წყარო უნდა გახდეს, კიდევ და კიდევ ახალი შექმნა. მე ბევრი მუსიკის გაკეთება მიწევს. მწერალმა წიგნი თუ არ წაიკითხა, ვერც თვითონ დაწერს. ასეა მუსიკოსიც. ჟანრი, ფორმა, განწყობა, ათასი ხერხია, წერის დროს რომ უნდა გაითვალისწინო''.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს თვითონაა სხვების შემფასებელი, მაინც ბევრს მეცადინეობს და სწავლობს. ერთი პრინციპით ცხოვრობს _ საყვედუ-


კაკო ვაშალომიძე (მარცხნიდან), მანანა გაბუნია, დავით ახუაშვილი, ბეჟან გოგია.

რს არავის ეუბნება, თუმცა, სწორად არ მიაჩნია, ყოველნაირი მუსიკის ტირაჟირება იოლად რომ ხდება. ''მხოლოდ გაფილტრული, მაღალი დონის მუსიკა უნდა მიეწოდებოდეს მსმენელს. უწინ რედაქტორები ისმენდნენ და წყვეტდნენ, ვარგოდა თუ არა ეს თუ ის მუსიკა, შეიძლებოდა თუ არა მისი ეთერში გაშვება. ახლა ეს ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, რაც არასწორი მიდგომაა. საზღვარგარეთ ასე არ არის. იქ ჯერ ათას კონკურსს გადიან და მერე რადიოში გაუშვებენ, რადიოში და არა ტელევიზიაში. ამისთვის კი დიდი დროა საჭირო. მიუღებელია ასეთი რეკლამებიც. ამას არა მარტო ქართულ, საზღვარგარეთულ მუსიკაზეც ვამბობ.

რაც დღეს კლასიკად არის აღიარებული, ეს უნდა მოასმენინო მსმენელს, რომ მერე არჩევანი თვითონ გააკეთოს, საით წავიდეს, რა მიმართულებით განვითარდეს''. _ გვიზიარებს აზრს ჩვენი რესპონდენტი.

ბევრი უცხოური მომღერალი და მუსიკალური ჯგუფია, რომელიც კაკო ვაშალომიძისთვის საზომია იმ საქმეში, რასაც თავად აკეთებს. საქართველოში არსებულ მუსიკალურ ტრადიციებზეც ამახვილებს ყურადღებას და პატივისცემით იხსენებს სულიკო კოროშინაძეს, ლილი გეგელიას, ანსამბლებს ''ორერას'', ''დიელოს'' და სხვებს. მათ დიდი როლი ითამაშეს ქართული გემოვნებიანი მუსიკისა და საშემსრულებლო ოსტატობის ჩამოყალიბებაში.

მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატს, ბევრ ცნობილ მუსიკოსთან თუ როკ-ჯგუფთან ჰქონია შემოქმედებითი ურთიერთობა; გასტროლები ლუქსემბურგში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, რუსეთსა და ა. შ.

მაშინ ფილარმონია კარგად მუშაობდა და ქვეყნის გარეთაც ხშირად გადიოდნენ. რამდენიმეხნიანი გასვლა ჰქონდათ რუსეთში, სადაც მათთან ერთად კონცერტებში ცნობილი საესტრადო მომღერლები და მსახიობები მონაწილეობდნენ.

სადაც არ უნდა ყოფილიყო, კოლეგები მის მიმართ კეთილგანწყობას გამოხატავდნენ, მის ნიჭსა და საშემსრულებლო ოსტატობას აფასებდნენ.

მრავალ, უკვე სიყვითლეშეპარულ ჟურნალსა და გაზეთს დღემდე ინახავს, სადაც მასზე ბევრს წერდნენ. თუმცა, ვერაფერი შეედრება იმ ემოციებს, რასაც მის მიერ შესრულებული როკ-კომპოზიციებით აჟიტირებული დარბაზი გამოხატავდა. არასოდეს ავიწყდება ვილნიუსში მუსიკალურ ფესტივალზე ანსამბლ ''ოკეანეს'' გამოსვლა. ლამის დარბაზი დაინგრა, კონცერტის შემდეგ ბატონ კაკო ხმის რეჟისორთან მადლობის სათქმელად მივიდა. ''ეს თქვენ ხართ? როგორ მომეწონეთ!'' _ უთქვამს რეჟისორს და ცრემლი მორევია. მსგავსი ფაქტებით მდიდარია კაკო ვაშალომიძის ბიოგრაფია. მისი აზრით, ადამიანმა რომ იარსებოს, არ დაბერდეს, ხარობდეს და სულ ემოციებით იყოს სავსე, იმ საქმეს უნდა აკეთებდეს, რაც უყვარს და აინტერესებს. და იქვე: ''ყველა მომღერალი და მუსიკოსი იყოს, იმას კი არ ვამბობ, მაგრამ კაცს, რომელსაც საქმე ყველაფერს ავიწყებს, ეს დიდი ბედნიერებაა. ცხოვრება ხანმოკლეა და ისე უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მარგი ქმედების კოეფიციენტი, მაქსიმალურად ვარგოთ სამშობლოს''. მიაჩნია, რომ ნებისმიერ საქმეში პროფესიონალიზმი გადაარჩენს ქვეყანას.


შვილებთან და შვილიშვილებთან

ალბათ, ბევრმა სამტრედიელმა არ იცის, ვირტუოზი გიტარისტი ჩვენს ქალაქში რომ დაიბადა. გვარწმუნებს, რომ სამტრედია უყვარს. ღვთის ნებით, ჰაერი პირველად მანდ ჩავისუნთქეო. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მისი ახალშეუღლებული მშობლები სამუშაოდ სამტრედიაში ჩამოვიდნენ. მამამ განაწილებით ჩაის გადამამუშავებელ ქარხანაში მთავარ ინჟინრად დაიწყო მუშაობა. ერთი წლის იყო ბატონი კაკო, ოჯახი თბილისში რომ დაბრუნდა.



ვაშა, ვაშა, ლომის ძე კაცს,
მოვუსმინოთ ახლოს მას,
როგორ უკრავს, როგორ ღუნავს,
ექვსსიმიან გიტარას!

მოსწონს სამტრედიელების დამოკიდებულება ხელოვნებასთან, კერძოდ, მუსიკასთან. მან ''ლაბირინთიც'' შეაქო და ტრიო ''სიმებიც'' გაიხსენა. ''დღეს გყავთ ხალხური ჯგუფი ''ლადი'', რომელსაც ხელმძღვანელობს ბეჟან გოგია. ჩვენ 90-იან წლებში სამტრედიაში გავიცანით ერთმანეთი. საქართველო რომ მოვიარეთ გასტროლებით, აქაც მოვედით. მას შემდეგ ვმეგობრობთ. ბეჟანი კარგად უკრავს გიტარაზე, კარგად ესმის მუსიკა და კარგ საქმესაც აკეთებს სამტრედიისთვის.

საქართველო ერთი მუჭაა, თქვენს მხარეში, ამ პატარა ნაწილში სამტრედია მუსიკალური შემოქმედებით განსაკუთრებით გამოირჩევა. გახარებულიც ვარ და გაოცებულიც, რახან არის ისეთი კაცი, როგორიც ბეჟან გოგიაა; ისეთი კარგი ადამიანი, როგორიც მარინა რცხილაძეა და კიდევ ბევრი ადამიანი, რომელთა დასახელებას ვერ შევძლებ, არ მინდა გამომრჩეს.''

''ლადის'' წევრების ნიჭიერებაზე მიუთითა მუსიკოსმა და შრომისმოყვარეობაც შეუქო მათ. აღნიშნა: ''შეიძლება, სამტრედიაში ბევრი ნიჭიერი ადამიანი იყოს, მაგრამ ამას ვერ ათვითცნობიერებდეს, ვერ ამჟღავნებდეს. ბეჟან გოგიამ კი ამ ბავშვების ნიჭი და შესაძლებლობები წარმოაჩინა. როგორ უკრავენ ფანდურზე, ტამტამზე! სალამურიც კი დატვირთულია. ბას-გიტარაზე უკრავს ერთ-ერთი ფანდურისტი, ძალიან მაღალ დონეზე. ხმები სიმღერაში სწორადაა გაშლილი. ეს რომ გააკეთო, პატრონია საჭირო და მასწავლებელი. ბეჟანი ერთიც არის და მეორეც, ამასთან, ორგანიზატორიც. მეგობარი რომ არის, იმიტომ არ ვამბობ, არაფრისგან რაღაცის გაკეთება ძნელია''.

''ქართული მუსიკის ლეგენდაა, ვირტუოზი გიტარისტია, კაცობის ეტალონი, ნამდვილი მეგობარი. იშვიათად შევხვდებით ასეთ ადამიანს, _ თბილ სიტყვებს არც ბატონი ბეჟანი იშურებს მეგობრის მიმართ, _ სულით ხორცამდე ქართველი და ოჯახზე უზომოდ შეყვარებული კაცი. უბრალოდ, ჩემი ძმაა''. ისიც გაიხსენა, ბატონმა ბეჟანმა ''ლადის'' წევრებს, ანრი მანჯგალაძესა და დათო მამასახლისს მუსიკოსმა თავისი ელექტროსისტემა რომ ჩაუყენა ინსტრუმენტებში. საკუთარ სტუდიაში კი ჯგუფს სიმღერებიც ჩაუწერა, რითაც დიდი დახმარება გაუწია.

ქართველ მუსიკოსთა ახალი თაობა ეიმედება ბატონ კაკოს, მაგრამ კარგად იცის, რამდენად აუცილებელია, მათთვის დიდებისგან ხელის შეწყობა. ვერ ეგუება, ის, ვინც მათზე უნდა ზრუნავდეს, უფრო თავისთავზე რომ ფიქრობს. და კიდევ, დარწმუნებულია, თუ ახალგაზრდა, ერთხელ მაინც დაუკრავს და იმღერებს, წარმატებული თუ არ იქნება, ცუდ საქმეს მაინც არ ჩაიდენს.

ხელოვნების ზეიმია კაკო ვაშალომიძის ოჯახში, უფროსი ქალიშვილი მაია პროფესიით რეჟისორია, სალომე _ მსახიობი და ბალერინა, უმცროსი შაკო კი, რომელიც მამასთან ერთად დრამზე უკრავს, წელს სკოლას ამთავრებს და არქიტექტორის პროფესიის დაუფლების სურვილი აქვს.

სულ მალე ფილარმონიის მცირე დარბაზში საავტორო კონცერტს გამართავს ცნობილი ქართველი მუსიკოსი. გემოვნებიან მსმენელს კი საშუალება მიეცემა მაღალი კლასის ხელოვნებას ერთხელ კიდევ ეზიაროს.

# "ლადი" – გრან-პრი საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე "ცეცხლოვანი გულები"




არსად ისე არ მღერიანო და ქართული ხმებით ქვეყნის ფარგლებს გარეთაც მოხიბლეს მსმენელი. ბაქოში უმასპინძლეს სამტრედიულ ფოლკ-ჯგუფს. იქაც მოაწონეს თავი კომპეტენტურ შემფასებლებს, ტოლი არ დაუდეს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ შემსრულებლებს.

20 მარტს აზერბაიჯანის დედაქალაქში აზიური მრავალფეროვნებით გამორჩეულ ჰანგებთან ერთად "თბილისოც" გაისმა.

მსმენელთაგან დიდ მხარდაჭერას, ინტერესს რომ ვგრძნობდით, ალბათ, ამანაც განაპირობა ჩვენი გამარჯვებაო, – დასძინეს ანსამბლის წევრებმა.

არ შეურცხვენიათ, ასახელეს სამშობლო. ბევრს მიაღწიეს მცირე დროში. "გაუჭირდებოდათ!" – ფრაზა ცნობილი ფილმიდან ზედგამოჭრით შეეფერებათ.

ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულზე სცენის გარშემო გემოვნებიანი მუსიკის მოყვარულები იკრიბებოდნენ. "ლადი" და "კავკასიელი არწივები" აღარ ეუცხოებოდათ. მოლოდინი ფუჭი არ გამოდგა.

"დაუვიწყარი ტურნე იყო. სიმღერის დაწყების წუთიდან გვიახლოვდებოდნენ, მობილური ტელეფონებით, ვიდეოკამერებით გვიღებდნენ. კმაყოფილება ეტყობოდათ, გვთხოვდნენ, შესრულება გაგვეგრძელებინა.

ინსტრუმენტების ფლობით, პროფესიონალიზმით ყველას დავამახსოვრდით. მივიღეთ სამომავლო მიწვევაც. კავკასიის ფესტივალების ასოციაცია დაინტერესებულია "ლადის" შემოქმედებით, რასაც ჩვენი ხშირი გასტროლები მოწმობს". – აღნიშნა ფოლკ-ჯგუფის ხელმძღვანელმა, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა ბეჟან გოგიამ.

გამარჯვებით მოგვრილი სიხარულის გაუნელებლად 25 მარტს საქველმოქმედო კონცერტზე მიიპატიჟეს სამტრედიელები მომღერალმა გოგო-ბიჭებმა. მილოცვასთან ერთად თანაქალაქელებმა მადლობაც უთხრეს დაუღალავი მუშაობისთვის.

საღამოს კულმინაციად ბატონი ზაზა ადეიშვილის სიტყვები იქცა: "გავა დრო და ვიამაყებთ, ჩვენ იმ სამტრედიიდან ვართ, ფოლკლორული ჯგუფი "ლადი" რომ აჩუქა მუსიკალურ სივრცეს".

**შოთა კაკავა**


ფესტივალის ჟიური

# საჭირო და აუცილებელი კულტურული კავშირები

**ნათია ნაცვლიშვილი**

***ჩვენს მუნიციპალიტეტში მხატვარ გივი ფრანგიშვილის ჩოხით გამოჩენა სადღესასწაულო დღეებში უკვე ტრადიციად იქცა. სახალხო მთქმელი, მხატვარი, ცხენით მოჯირითე, იუმორის უბადლო ოსტატი... მისი ფუნჯი საოცარი ემოციით და გულწრფელობით აცოცხლებს სოფლის (და არა მარტო) პეიზაჟებს, ძველი სოფლური წყლის წისქვილები, უკვე სოფლებშიც რომ აღარ შემოგვრჩა, მისმა ნახატებმა შემოინახეს. სიბერის თემა, ამ ბოლო ხანს, განსაკუთრებით მძაფრად შემოიჭრა მხატვრის შემოქმედებაში. გივი ფრანგიშვილი ის მხატვარია, სამყაროს ტრაგი-კომიკურობაზე არაერთხელ რომ დაგაფიქრებს, სიკეთის თესვის სურვილს არაერთხელ რომ გაგიმძაფრებთ...***

ხელოვანს ყოველთვის სჭირდება აუდიტორია, მათ უფრო ჩვენს დროში, ისტორიამ არ იცის დალხენილი და მჩქეფარე ცხოვრებით მცხოვრები ხელოვანი, დღეს კი, როცა ადამიანები დასცილდნენ წიგნს და სულიერ ფასეულობებთან ზიარებამაც იკლო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვანთათვის თავიანთი შემოქმედებით ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგომა. მეზობელ მუნიციპალიტეტში, ლანჩხუთში სულ ახლახან სამტრედიელ ხელოვანებს პოეტ აკაკი თევზაძეს, მხატვარ გივი ფრანგიშვილს და პოეტ დავით ჩირგაძეს უმასპინძლეს. ამ საინტერესო შეხვედრის ორგანიზატორი თემურ ფირცხალაიშვილის სახელობის ლანჩხუთის შემოქმედებითი მუზეუმის ხელმძღვანელი, ქალბატონი დარეჯან ბიწაძე გახლდათ.

გაიმართა პოეზიის საღამო, სადაც თავიანთი შემოქმედებით წარსდგნენ ადგილობრივი პოეტები. გივი ფრანგიშვილი არა მარტო მისი ლექსებით წარსდგა, მან და ბადრი კვანტალიანმა არაერთი ხალხური სიმღერა შეასრულეს. მუზეუმში გამოიფინა ასევე გივი ფრანგიშვილის ნახატები, საკუთარი ლექსები წაიკითხა და აპლოდისმენტები დაიმსახურა დავით ჩირგაძემ. შეხვედრის შესახებ კომენტარი დარეჯან ბიწაძეს ვთხოვეთ:

"ჩვენმა საზოგადოებამ აღფრთოვანება გამოხატა ბატონი გივის მიმართ, ის მართლაც შესანიშნავი მხატვარი, სახალხო მთქმელი და უბადლო შემსრულებელი ყოფილა. მართლაც მოვიხიბლეთ სამტრედიელთა შემოქმედებით. ბატონმა გივიმ ჩვენს მუზეუმს უსახსოვრა ნახატი "ჩემი სოფელი", რითაც ძალიან გაგვახარა. გვსურდა, უფრო ახლოს გაგვეცნო ბატონი გივი, იგი ჩვენმა დიდმა მეგობარმა, შესანშნავმა პოეტმა აკაკი თევზაძემ გაგვაცნო, გალაკტიონობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ბატონ გივის ვიცნობდით როგორც წარმოსადეგ, სათნო ადამიანს, უკვე ამ ადამიანის შინაგან სამყაროსაც გავეცანით, გვიხარია, რომ მისმა ნახატმა და მისმა ხელნაწერმა ლექსებმა ჩვენს მუზეუმში დაიდო ბინა. იმედია, კიდევ არაერთხელ მოვიწვევთ სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან შემოქმედ ადამიანებს".

"ასეთი კულტურული კავშირები საჭიროა და აუცილებელია, ძალიან მოეწონათ დავით ჩირგაძის ლექსები. იქ ძალიან კარგად იცნობენ ბატონ აკაკი თევზაძეს, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ დარეჯანს ასეთი გულთბილი მასპინძლობისთვის". – გვითხრა ბატონმა გივი ფრანგიშვილმა.





# შეცდომა უნდა გასწორდეს

**ლევან გაბეჩავა**

ამ დღეებში მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, საქართველოს დედა უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესაძირკვლის, აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან 129-ე წლისთავი აღინიშნა.

ღონისძიებამ, რომლის ინიციატორი მუნიციპალიტეტის გამგეობა და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური იყო, გულგრილი არავინ დატოვა და იგი ერთგვარი სამზადისი გახლდათ მომავალ წელს მეცნიერის 130-ე საიუბილეო თარიღის ღირსეულად შეხვედრა-აღნიშვნისა.

საქმე ერთ, ვფიქრობ, სამწუხარო თუ არა, უხერხულ სიტუაციას ეხება.

წინამდებარე წერილის ავტორსა და მის თაობას კარგად ახსოვს, რომ მეცნიერი 1987 წელს მისი 100 წლის იუბილეს აღნიშვნიდან მალე, რამდენიმე კვირაში აღესრულა.

მაშასადამე, ოფიციალურ განცხადებებში მითითებულია 1887 წელი მეცნიერის დაბადების, 1987 წელი კი გარდაცვალების წლებად, რაც, რა თქმა უნდა სწორია.

ასეთივე ჩანაწერს ვკითხულობთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა და სამტრედიის ენციკლოპედიაშიც, მაგრამ სხვა წყაროებში, 1989 წელია ფიქსირებული მეცნიერის გარდაცვალების თარიღად.

გვსმენია, რომ მეცნიერი 1885 წელს უნდა ყოფილიყო დაბადებული და თუ აქედან ავთვლით მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას, მაშინ გამოდის, რომ მან 102 წელი იცოცხლა, ხოლო იმისი უფლება არავისა აქვს, გუშინდელი რეალობა გააფერკმრთალოს, მცდარად წარმოგვიდგინოს.

რაკი მეცნიერი დაბადების ოფიციალურ თარიღად 1887 წელს მიუთითებდა და რაკი იგი ნამდვილად 1987-ში გარდაიცვალა, რატომ ვიგდებთ თავს უხერხულ სიტუაციაში?

**მსჯელობისთვის მოგვყავს ამონარიდი გურამ შარაძის წიგნიდან "ამერიკელი ქართველები" (თავი გრიგოლ დიასამიძე, გვ. 166). განსვენებულის მეუღლემ ქ-ნი ოლღა ევგენის ასულმა შანიძემ გადმოგვცა ზოგიერთი დოკუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განსვენებულის ცხოვრებას თვალი გადავავლოთ:**

**მოსე (ა. შანიძის ერთ-ერთი ძმა, ლ.გ.) დაიბადა 1887 წლის 18 სექტემბერს (ეს თარიღი არ უნდა იყოს სწორი, რადგან 1887 წელს ბ-ნი აკაკი შანიძე გახლდათ დაბადებული, ხოლო მოსე მასზე უფროსი იყო.**

**მისი დისშვილის, ქ-ნი ნელი ლეჟავას ცნობით, მოსე შანიძე 1885 წელს დაიბადა, მომდევნონი იყვნენ: მელქისედექი, აკაკი და თეოლინე, მთლად უფროსი კი _ ნოე.**

**მანვე მოგვაწოდა მოსე და აკაკი შანიძეების 1924 წელს, ბერლინში გადაღებული სურათი, (გ. შ.) ქუთაისში (აქ სოფელი ნოღა უნდა იყოს უფრო ზუსტი, (გ. შ.)".**

ამდენად, მეცნიერის დაბადების წლად ის თარიღი უნდა მივიჩნიოთ, თავად სულკურთხეული მეცნიერი რომ აფიქსირებდა _ 1887 წელი, გარდაცვალების თარიღად კი, რაღა თქმა უნდა, 1987 წელი, როცა ბატონი აკაკი გარდაიცვალა.

ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, "კვირის პალიტრას" საფურცლო კალენდრის სარედაქციო ჯგუფმა, სხვა გამომცემლობათა ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ ჩვენი მოკრძალებული წინადადება.

საჯილდაო ქვად არ უნდა ვაქციოთ დიდი მეცნიერის დაბადება-გარდაცვალების თარიღები.

# საგანმანათლებლო კონკურსი "ინტელექტუალები" გამარჯვებულებს გამოავლენს

**ნათია ნაცვლიშვილი**

***სკოლა თავის ძირითად ფუნქციას რომ ვერ ასრულებს, სათანადოდ ცოდნას რომ ვერ იძლევა, ამაზე პედაგოგიური სამყარო კარგა ხანია წუხს. მხოლოდ წუხილს და თვითგვემას რომ არ მიეცნენ მშობლებიც და პედაგოგებიც, ზოგიერთი პედაგოგი ცდილობს, ისეთი პროექტები შემოგვთავაზოს, მოსწავლეებში სწავლის მოტივაციას რომ აამაღლებს და მათ სურვილს გაუძლიერებს წიგნთან მისასვლელად.***

მე-10 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, ეკატერინე ფოცხვერიამ და ამავე სკოლის სამოქალაქო კლუბის "თავისუფლება" წევრებმა საგანმანათლებლო პროექტის პრეზენტაციაზე მიგვიწვიეს. პროექტში მე-8, მე-9 და მე-10 კლასელები არიან ჩართულნი. პრობლემა: მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესმა იკლო. ჩვენი კეთილდღეობის საწინდარი კი ინტელექტუალური საზოგადოებაა, ამდენად, უნდა ვეცადოთ ავამაღლოთ მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესი _ ითქვა პროექტის პრეზენტაციაზე.

პრეზენტაციამ დაიგვიანა, თორემ პროექტი უკვე ხორციელდება: კლასებში გამოკითხვა ჩატარდა, 54 მოსწავლე გამოკითხა სოციოლოგიურმა ჯგუფმა, ასევე შექმნილია საინფორმაციო და ადვოკატირების ჯგუფები. პროექტში ჩაერთვებიან პედაგოგები და მას მეთვალყურეობას გაუწევს დირექცია. მოსწავლეების სურვილია, პროექტის ფარგლებში რამდენიმე საგანში 2-3 ინტელექტუალური ღონისძიება მოაწყონ, ისტორიაში უკვე 500 კითხვა მომზადდა, აქედან 150 ან 100 კითხვა გათამაშდება, პროექტის მონაწილეებს გამიზნული აქვთ, ითანამშრომლონ ადგილობრივ მედიასთან, კერძოდ, ჩვენ გაზეთთან. გამარჯვებულთა ვინაობის გამოვლენამდე, პროექტის მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს დირექტორს, ქალბატონ თამარ თევზაძეს, ფასიანი საჩუქრით დააფინანსოს ყოველი გამარჯვებული გუნდი.

მოსწავლეები უკვე იჩენენ დიდ აქტიურობას, მე-8, მე-9, მე-10 კლასებს უკვე ჰყავთ გუნდები, გამარჯვებულს კი გამოავლენს კომპეტენტური ჟიური. პროექტის დასრულების შემდეგ (იგი თებერვალში დაიწყო და მაისის ბოლოს დასრულდება) მოსწავლეებს, მასწავლებლებს და მშობლებს დაურიგდებათ კითხვარები, სადაც ისინი პასუხს გასცემენ შეკითხვას: რა შედეგი მისცა მათ კონკურსმა?

პროექტის შესახებ დადებითი მოსაზრებები გამოთქვეს შეკრებილმა პედაგოგებმა, ინიციატივა განსაკუთრებულად მოიწონა დირექტორმა, თამარ თევზაძემ.

"მივესალმები ამ პროექტს, იგი უთუოდ შეუწყობს ხელს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლებას, მადლობა ქალბატონ ეკას, მან არაერთ კონკურსში მიიღო მონაწილეობა, დაიმსახურა იმერეთის რეგიონის 2013 წლის სამოქალაქო განათლების წარმატებული მასწავლებლის ტიტული და სიგელი, მოსაწონია, რომ ამ პროექტში ჩართულია სკოლის უმრავლესობა, ისიც მინდა აღვნიშნო, ქალბატონმა ეკამ, სამოქალაქო კლუბის მეურვემ, სამოქალაქო განათლების სწავლებით ისე აამაღლა მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერება, ის ურთიერთობების დეფიციტი, მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის რომ არსებობდა, აღმოიფხვრა და მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობა სასიკეთოდ წარიმართა".

პროექტის შესახებ აზრი გამოთქვა მე-9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, ქეთევან ბაღდავაძემ:

"ეს ინიციატივა ძალიან კარგია და ეკა ყოველთვის გამოირჩევა მსგავსი ინიციატივებით. არა მარტო სასკოლო პროექტებში იღებს მონაწილეობას, არამედ სკოლის გარე, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ პროექტებშიც, ბევრი კონკურსიც მოიგო, წარმატებული პედაგოგის ტიტულიც მიენიჭა თბილისში ჩატარებულ მასწავლებელთა კონფერენციაზე. წარმოდგენილი პროექტი ძალიან აქტუალურია, სხვა სკოლებშიც დგას მსგავსი პრობლემა: მოსწავლეთა ნაწილი მონდომებულია, მაგრამ ბევრი ზარმაცობს და ბოლომდე არ იხარჯება. ეკამ საკმაოდ შრომატევად საქმეს მოჰკიდა ხელი, ყველა კათედრამ უნდა მიიღოს ამ პროექტში მონაწილეობა, ყველა კათედრის ჩართვა ძალიან კარგია და ვუსურვებ ამ სკოლას, მოსწავლეებს და პედაგოგს წარმატებას. შეჯიბრების მომენტი და წამახალისებელი ფაქტორი მოსწავლეებს მოტივაციას აუმაღლებს".





# შევეცდები იმ ხარვეზების აღმოფხვრას...



სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში საკადრო ცვლილებაა. იგი გაერთიანების აწ უკვე ყოფილი მოადგილის, ნანა იმნაძის სხვა თანამდებობაზე გადასვლით გახლავთ განპირობებული. ნანა იმნაძე ცოტა ხნის წინ კონკურსის საფუძველზე სამტრედიის N54-ე საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა. მის მაგიერ კი, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში დირექტორის მოადგილედ ხათუნა გაგუა გადმოიყვანეს. აქამდე ხათუნა გაგუა ქალაქის მუნიციპალიტეტში სპეციალისტად მუშაობდა.

გაერთიანების დირექტორის ხათუნა ახობაძის განცხადებით, მიმდინარე წლის 21 მარტს ხათუნა გაგუა ოფიციალურად შეუდგა აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობას.

1991 წლიდან, საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, იგი ისტორიის პედაგოგად ჯერ ქალაქის მეათე, ხოლო მერე სკოლა-ლიცეუმ "ცოდნაში" მუშაობდა. 2004-2008 წლებში მე-9 ბაგა-ბაღის გამგის თანამდებობას იკავებდა. ოჯახური პირობების გამო, 2008 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე, ტოვებს თანამდებობას.

როგორც თავად ამბობს, პედაგოგად მუშაობის გამოცდილება აღებული პასუხისმგებლობის პროფესიონალურად შესრულებაში დაეხმარება: "ჩემი პროფილი გახლავთ მოადგილე აღმზრდელობით დარგში. ამჯერად ყველა საბავშვო ბაღის საალმზრდელო პროცესს ვეცნობი. შემიძლია ვთქვა, რომ საბავშვო ბაღებში ბევრი პროფესიონალი კადრი მუშაობს. შევეცდები იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რაც ცოტა, მაგრამ მაინც არის ამ დროისთვის."

თანამდებობაზე სულ ერთი კვირის მუშაობის მიუხედავად, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში ხათუნა გაგუა უკვე მოსწონთ და მას განათლებულ, კონტაქტურ და საქმის მცოდნე კადრად ახასიათებენ.

**თეა ბაბუნაშვილი**

# „ინტერსტელარი" სუპერლიგის პრესტიჟულ ტურნირზე

**ნათია ნაცვლიშვილი**

სამტრედიელი ინტელექტუალების ყოველი წარმატებული ნაბიჯი ჩვენი გაზეთის უმნიშვნელოვანეს ნიუსად იქცევა ხოლმე. რებრენდინგის შემდეგ გუნდმა არაერთი შედეგი აჩვენა და ამჯერად მასთან დაკავშირებულ ბოლო სასიამოვნო სიახლეზე გვინდა მივიპყროთ მკითხველის ყურადღება: პირველად სამტრედიის ინტელექტკლუბის ისტორიაში ჩვენმა გუნდმა მოიპოვა სუპერლიგაში თამაშის უფლება. სუპერლიგაში საქართველოს ყველაზე ერუდირებული ინტელექტუალები თამაშობენ თავიანთი გუნდებით. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, აი, რამდენიმე მათგანი: გიორგი ბაქრაძე, გიორგი მოსიძე, დავით რაფავა, სერგო თევდორაძე, ოთარ საბაშვილი, ია მეტრეველი და სხვები.

13 მარტს საქართველოს დედაქალაქში სტარტი აიღო რიგით 52-ე სუპერლიგის ტურნირმა ინტელექტუალურ თამაშში ''რა? სად? როდის?''.

ამ პრესტიჟულ ტურნირში სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდი ''ინტერსტელარი'' შემდეგი შემადგენლობით მონაწილეობდა: კაპიტანი გიორგი ჩაჩუა, ზაზა ადეიშვილი, ლევან ცირეკიძე, დავით მანჯგალაძე, ვაჟა ჩიჩუა, ვანო ვაშაკიძე, გიორგი ცაგარეიშვილი.

თამაშიდან დაბრუნების შემდეგ გუნდის კაპიტანს, გიორგი ჩაჩუას კომენტარი ვთხოვეთ: ''დედაქალაქის გუნდების მერე, გარდა ქუთაისისა და ბათუმის პირველი გუნდისა, რომელთაც წილად ხვდათ სუპერლიგაში თამაშის უფლება, ჩვენი გუნდი ერთადერთია მუნიციპალიტეტებიდან. ეს ფაქტი განსაკუთრებულად აღნიშნა საქართველოს ინტელექტკლუბის პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი მოსიძემ, რომელიც ჩემპიონატის დასაწყისში მიესალმა ჩვენს გუნდს და უსურვა შემდგომი წარმატებები.

ჩემპიონატი 3 ტურად იმართება, თითოეულ ტურში 48 შეკითხვა დაისმება, აღსანიშნავია, რომ სუპერლიგის შეკითხვები სხვა ტურნირებთან შედარებით ურთულესია. მხოლოდ პირველი ტური ჩატარდა, მეორე ტური აპრილის ბოლოს, მესამე კი ივნისში გაიმართება. ჯერჯერობით, ადგილები ზუსტად არ არის გადანაწილებული, მეორე ტურის შემდეგ უკვე გამოიკვეთებიან ლიდერები და აუტსაიდერებიც, ჩვენი გუნდიც, იმისდა მიუხედავად, რომ ძირითადად ახალგაზრდა წევრებითაა დაკომპლექტებული, მაქსიმალურად შეეცდება წარმატების მიღწევას ამ ტურნირზე და იმედია, თავის სიტყვას იტყვის საქართველოს ინტელექტკლუბის წევრებთან ერთად.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წარმატებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, რომლის მხარდაჭერითაც, აგერ უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი გუნდი მონაწილეობს სხვადასხვა ადგილობრივ თუ რეგიონალურ ტურნირებში, სწორედ ამ ტურნირებზე გამოიკვეთნენ ახალგაზრდები, რომლებთან ერთადაც მივაღწიეთ წარმატებებს, ამან კი შემდგომ განსაზღვრა სუპერლიგაში ჩვენი თამაშის შესაძლებლობა, რისი ფუფუნებაც სხვა რაიონების წარმომადგენლებს ნამდვილად არ აქვთ''.



გიორგი ჩაჩუას თქმით, სამომავლოდ გეგმავენ, მონაწილეობა მიიღონ იმერეთის ინტელექტკლუბის ორგანიზებით გასამართ ინტელექტუალური თამაშების ფესტივალში ''საირმე 2016''. ეს ჩემპიონატი საირმეში უკვე რამდენიმე წელია იმართება, სამტრედიელ ინტელექტუალთა ლიდერი გვპირდება, რომ იქაც მაქსიმალურად ეცდებიან წარმოაჩინონ ჩვენი გუნდი და ჩვენი მუნიციპალიტეტი.

# ოლიმპიადის მესამე ტურში ორი სამტრედიელი მოსწავლე გადავიდა

***სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება, მას არასამთავრობო ორგანიზაცია ''მოქალაქე'' აფინანსებს. ჩვენი მუნიციპალიტეტის არაერთი მოსწავლეა ამ ოლიმპიადის გამარჯვებული. წლეულსაც სტარტი აიღო ოლიმპიადამ. პირველ ტურში 27 000-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა ქვეყნის მასშტაბით.***

პირველი ტურის კონკურსი მონაწილეებმა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, სკოლებში გაიარეს. კონკურსი სატესტო კითხვებზე პასუხის გაცემას ითვალისწინებს. ვაჭრობა, ეკონომიკა, საერთაშორისო ორგანიზაციები... შეკითხვები მსგავსი თემების ირგვლივ ტრიალებს. სულ 40 საკითხს გასცეს პასუხი მოსწავლეებმა. მეორე ტური ქუთაისში ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში ჩატარდა, მეორე ტურის საკითხებში შედის:



ესსეს დაწერა, საქართველოს ისტორიის შეცდომების გასწორება, წყაროების გაშინაარსება, სოციალური შინაარსის ნახატის აზრის და იდეის ამოცნობა, პროექტის წერის უნარების შემოწმება. მეორე ეტაპზე 2000 მოსწავლე გადავიდა. მეორე ტურის მონაცემების დაჯამების შემდეგ მონაწილეთაგან 230 საუკეთესო შეირჩა. უკვე გაიმართა ამ 230 მონაწილის დაჯილდოვება. მათ შორის არიან სამტრედიის № 10 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე თეონა ზაქარეიშვილი და მე-9 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე თეა მიქელაძე. თეა მიქელაძე რედაქციაში გვეწვია და თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

''წინ რთული ფინალური ტური გველის. შარშანდელთან შედარებით საკითხები ბევრად უფრო გართულებული იყო, ავიღე 40 ქულა, ბარიერი იყო 36 და ზემოთ. დამასაჩუქრეს 200 ლარიანი წიგნების ვაუჩერით, დაგვირიგეს სერტიფიკატები, ასევე დაგვასაჩუქრეს წიგნით ''რა არის თავისუფლება'' (ტომი მე-4) და ელექტრონული წიგნით. სამტრედიიდან ამ ტურში დაგვასაჩუქრეს მე და თეონა ზაქარეიშვილი. დაჯილდოვება საქართველოს დედაქალაქში, შეფასებისა და განათლების ეროვნულ ცენტრში გაიმართა''.

მე-3 ტურის პირველ ეტაპზე დავწერთ ესსეს, თუ გადავლახავთ ამ ტურს და მოვხვდებით საუკეთესოთა შორის, მოგვიწევს ამავე ესსეს პრეზენტაციის გაკეთება, გამარჯვებული 40 ესსე კი წიგნად გამოვა და კრებული შეიქმნება. შარშან 40 საუკეთესოს შორის მოვხვდი, ჩემი ესსე დაიბეჭდა, მე კი დამაჯილდოვეს საზაფხულო ბანაკის საგზურით. გამარჯვებულთა პირველ ოცეულში მოხვედრა ნიშნავს საუკეთესო ჯილდოს მოპოვებას _ ოქსფორდში ინგლისური ენის ერთთვიან კურსებზე ეს ოცი მოსწავლე გაემგზავრება.

თეა თავისი მიღწეულით არ კმაყოფილდება და მესამე ტურისთვის ემზადება. ''ძალიან ღირსეული კონკურენტები მყავს, მათ შორის ბევრი ჩემი მეგობარია თბილისიდან, ქუთაისიდან. ეს ოლიმპიადა გეხმარება გახდე პიროვნება და გააცნობიერო, როგორც საკუთარი უფლებები, ისე მოვალეობები. ვმუშაობ დამოუკიდებლადაც, მაგრამ ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის სამოქალაქო განათლების პედაგოგ ქეთევან ბაღდავაძეს, რომ არა ის, ასე ძალიან არ მეყვარებოდა საგანი''. _ გვეუბნება თეა მიქელაძე.

**ნათია ნაცვლიშვილი**

# წიგნიერება წიგნის თაროდან

ეს ამბავი იქაც გაჰკვირვებიათ, დედაქალაქში. უფრო სწორად, აღიარეს, თორემ მსგავსი ფაქტი არაერთი ყოფილა და არაერთხელ აღუნიშნავთ კიდეც ხაზგასმით. საქმე იმაშია, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ''წიგნის თარო'' რაიონებიდან ჩასულებმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვეს დედაქალაქის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებთან შედარებით. სამტრედიის სასახელოდ კონკურსში სამტრედიელი მოსწავლეებიც მონაწილეობენ.

კონკურსი ინტერნეტის მეშვეობით გამოცხადდა. რადგან საქმე წიგნს და წიგნიერებას ეხება, ქართულად ვისაუბროთ და ინგლისური ტერმინების ხმარებით ნუ დავამტკიცებთ წიგნიერებას. ასე რომ, ''ლაივში'' კი არა, პირდაპირი გასაუბრების შედეგად, მე-11 საჯარო სკოლის სამი მეთერთმეტეკლასელი: იესე ჯავახიანი, მამია კიღურაძე და ქეთი ლეჟავა ''წიგნის თაროს'' კონკურსანტები გახდნენ. მართალია, ჯერ კონკურსი დასრულებული არაა, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ-ერთი პირველები არიან მათ შორის, ვისაც წიგნები მხოლოდ წიგნის თაროზე შემოსადები ნივთები არ ჰგონიათ და მათ დანიშნულებისამებრ ხმარობენ. შედეგიც შესაბამისი აქვთ, პირველივე ტურში თბილისის ნიუტონის სახელობის თავისუფალი სკოლის გუნდს სძლიეს. ანგარიშიც დამაჯერებელია _ 21:11. ''თავადვე გაუკვირდათ ამხელა ანგარიშით წაგება, არ ელოდნენ. კარგი დამოკიდებულება გვქონდა მათთან, მაგრამ ამის შემდეგ, ''გაღიარეთო'' გვითხრეს.'' ცოტა ხნის წინ კი მათ ამბროლაურის სკოლა დაამარცხეს მერვედფინალში.

კონკურსში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 32 გუნდი მონაწილეობს. ''ლაივში'' გასაუბრებით შემოწმდა ჩვენი ერუდიცია. როგორც ჩანს, ვაკმაყოფილებდით საკონკურსო პირობებს. მიგვიწვიეს თბილისში და... ერთი სიტყვით, ასე აღმოვჩნდით ''წიგნის თაროს'' მონაწილეები.'' _ ჰყვება მამია კიღურაძე და იქვე ამხელს, რომ მისი საყვარელი ნაწარმოები სერვანტესის ''დონ კიხოტია.'' დონ კიხოტობა თუ უნდა? დიახ, ვის არ უნდაო, გვპასუხობს. მწერალი, რომელიც კითხვას და წიგნს შეგაყვარებს,



მისთვის კონსტანტინე გამსახურდიაა. ''საოცარი ნაწარმოები, რომელშიც არაერთ კითხვაზეა პასუხი'', ასე მის ''დავით აღმაშენებელს'' აფასებს და საყვარელ ნაწარმოებს არქმევს. ''გარკვეული მინიშნებებით წიგნის ავტორზე, ეპოქაზე, როცა იგი დაიწერა, უნდა გამოგვეცნო რომელ ნაწარმოებზე იყო საუბარი.'' _ აგვიხსნა იესე ჯავახიანმა და საყვარელ წიგნად ერთი გამორჩეული კი არა, საინტერესოდ საკითხავი ყველა ავტორი და ნაწარმოები დაასახელა. რაიონში ცნობილი ფილოლოგის, კვალიფიციური პედაგოგის, მაია ლორიას შვილობა იესე ჯავახიანს იმაზეც ეტყობა, რომ ქართულ მწერლობას ზედმიწევნით კარგად იცნობს.

ქეთი ლეჟავა განსაკუთრებით დეტექტიური ჟანრის ლიტერატურითაა დაინტერესებული. თუმცა, კარგი წიგნი ყოველთვის დღესასწაულია მისთვის. ამბობს კიდეც, ''წიგნებში მოძებნილი, ამოკითხული პასუხებით ყველა კითხვაზე, ყველაფერ საინტერესოზე, ცხოვრებას სწავლობ.''

წიგნი მხოლოდ თაროს დამამშვენებელი ატრიბუტი რომ არ არის, დიახ, იციან. როგორც ყველა ინტელექტუალს, ინტერნეტით მიღებული განათლების არც მათ სჯერათ. წიგნის სურნელი განსაკუთრებულიაო, ამბობენ და ამით ამარცხებენ მათი თაობის შეხედულებას, რომ დრო წინ მიდის და მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგებაა მისთვის ფეხის აწყობა.

გაზეთებს? ღიმილით გამოტყდნენ, რომ პერიოდულ გამოცემებს არ კითხულობენ. იმედია, ამ წერილს ნახავენ, მათზე დაწერილს. გაგვიხარდება ამის მერე ხშირად თუ ჩახედავენ გაზეთს სხვებზე დაწერილის წასაკითხადაც!

და თუნდაც არ წაიკითხონ გაზეთი, ეს ბავშვები იმ საიმედო ცვლის ნაწილი არიან, ხვალ ქვეყანა ცოდნით რომ უნდა აშენონ. და რაც მთავარია, ისეთ ქვეყანაში უნდა იცხოვრონ, ცოდნა და განათლება წიგნის თაროზე ნივთივით შემოსადები რომ არ გახდება! დღემდე ამგვარი მაგალითებით სავსეა ყოველდღიურობა.

''წიგნის თაროზე'' კი ყველაფერი წინაა. ამჯერად, ამბროლაურის საჯარო სკოლას ხვდებიან. გვჯერა, ფინალშიც ვიხილავთ მათ, რამეთუ ცოდნა თავს არ დამალავს!

**თეა ბაბუნაშვილი**

# შეხვედრა ღვაწლმოსილ ქალბატონთან

სოფელ ღანირის საჯარო სკოლაში სამოქალაქო კლუბის ''მომავალი ჩვენია'' წევრებმა, ღანირის კულტურის სახლმა, სასოფლო ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყვეს სამტრედიის სახალხო თეატრის ღვაწლმოსილ მსახიობ ქალბატონს ჟუჟუნა ნიკურაძეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ქალბატონი ლიზა კრავეიშვილი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, კულტურის ცენტრის დირექტორი ვეფხია ნადირაძე.

ქალბატონი ჟუჟუნა ნიკურაძის ღვაწლსა და შემოქმედებაზე ისაუბრა ვეფხია ნადირაძემ, ღანირის კულტურის სახლის დირექტორმა ლია არუსიამ, კლუბის წევრებმა წაიკითხეს ლექსები, ჩანახატები ქალზე, შესრულებული იქნა რამდენიმე სიმღერა ლია არუსიასა და რამაზ გვალიას მიერ, ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები სპექტაკლებიდან, რომელებშიც მონაწილეობა მსახიობმა ქალმა ჟუჟუნა ნიკურაძემ მიიღო.





შეხვედრა იყო თბილი და საინტერესო. ბოლოს ბატონმა ვეფხია ნადირაძემ მადლობა გადაუხადა სამოქალაქო კლუბის წევრებსა და ღონისძიების ორგანიზატორებს. მან მოსწავლეები მიიწვია თეატრში სპექტაკლებზე დასასწრებად.

**ლია არუსია**
**ღანირის კულტურის სახლის დირექტორი**

# ულალატო მეგობარი

1805 წლის 2 აპრილს დაიბადა ცნობილი მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენი.

ჰუმანიზმს, კაცთმოყვარეობას, მეგობრობას, პატრიოტიზმს ღაღადებენ მისი ზღაპრები, დიდსა და პატარას ერთნაირად რომ იზიდავს.

რომელ ჩვენგანს არ წაუკითხავს მისი თუნდც ერთი ზღაპარი.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ 2 აპრილს, ანდერსენის დაბადების დღეს აღინიშნება მსოფლიოში საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.

თანამედროვე კიბერთაობა რამდენადმე რომ დაშორდა წიგნს და მისი ადგილი კომპიუტერმა ჩაანაცვლა, ცხადია, თუმცა, წიგნი იყო, არის და რჩება ადამიანის შემეცნების, გონიერების, განახლებადი ცოდნის შეძენის უმთავრეს, უპირველეს ღირებულებად.

არცთუ შორეულ წარსულში სისტემური ხასიათი ჰქონდა საჯარო სკოლებში ისეთი ხასიათის ღონისძიებების ჩატარებას, სადაც კლასის, სკოლის... მასშტაბით ხდებოდა საუკეთესო დეკლამატორთა გამოვლენა. გარდა იმისა, რომ მოსწავლეები ადრეული ასაკიდანვე ეჩვეოდნენ სწორ მეტყველებას, წიგნებთან მათი მეგობრობაც უფრო (ვიდრე დღეს) აუცილებელი ხდებოდა.

მიზეზთა გამო არაერთი სასკოლო ღონისძიების ნახვა გვიწევს და დასამალი არაა, რომ ძნელია, იშვიათია შემთხვევა აღმოაჩინო მოსწავლე ლექსს ან ამონარიდს ზეპირად რომ კითხულობდეს.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა გამართულად კითხვაც უჭირთ.

ეს მაშინ, როცა სკოლამდელ ასაკამდეც ბავშვების დიდ რაოდენობას უპრობლემოდ შეუძლია კომპიუტერით, ინტერნეტით სარგებლობა.

ამდენად, სკოლა, ოჯახი, საზოგადოება ვალდებულნი არიან, მოზარდებს სწორედ საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურით გაუღვივონ წიგნისადმი სიყვარული.



დასანანია, რომ ამჟამად ქვეყანაში, განსაკუთრებით რეგიონებში არ გამოდის და თუ გამოდის, დიდი შეფერხებებით საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთები, საბავშვო, უხვად ილუსტრურებული წიგნები კი, ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, ერთობ ძვირია და ბევრისთვის ფუფუნებასაც კი წარმოადგენს.

2 აპრილს საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

***ლევან გაბეჩავა***

# მეტი ყურადღებაა საჭირო

სამარცვლე პარკოსანთა შორის ლობიოს უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი შეიცავს 24,1 პროცენტ ცილას, 56,6 პროცენტ ნახშირწყლებს და მდიდარია ცხიმებით.

ლობიოს კვებითი ღირებულება დიდია. მისი პარკი და მარცვალი ხასიათდება მაღალი კალორიულობით და შეთავსების დიდი კოეფიციენტით. მისი მწვანე პარკი მოიხმარება აღებისთანავე.

სამედიცინო ლიტერატურაში ცნობილია ადამიანის ჯანმრთელობისათვის ლობიოს მრავალი დადებითი გავლენა. სახელდობრ, მკვლევართა აზრით, ლობიოში შემცველი კალიუმის მარილი მეტად სასარგებლოა გულსისხლძარღვთა დაავადებისას. ლობიო რეკომენდირებულია დიაბეტის, ნერვული სისტემის, კუჭ-ნაწლავის დაავადების, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის კლინიკური მკურნალობის დროს. ცნობილია ლობიოს ფქვილის გამოყენება კანის დაავადების მკურნალობისა და ბავშვთა კვებაში, როგორც დიეტური საკვები.

ლობიო დადებით გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლის ნორმალური მდგომარეობის აღდგენაზე. მისგან მზადდება აგრეთვე, სამკურნალო ცილოვანი პრეპარატები, რომლებიც აფერხებენ ათეროსკლეროზის წარმოშობას და სხვა.

ლობიოს ზოგიერთი სახეობა საყურადღებოა, როგორც დასიდერაციის მცენარე, ამასთანავე, როგორც აზოტის დამაგროვებელი, ანაყოფიერებს ნიადაგს და კარგი წინამორბედია ყველა (გარდა პარკოსნებისა) კულტურისათვის. იგი ძვირფასი ნედლეულია საკონსერვო წარმოებისათვის და სხვა.

საჭიროა ყურადღებით მოვეკიდოთ მისი თესვა-მოყვანის აგროტექნიკის ზედმიწევნით დაცვას.

მას არ ახასიათებს ნიადაგში ღრმად ფესვთა სისტემა. ჩვენში ნიადაგი უნდა მოიხნას ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე 16-18 სანტიმეტრის სიღრმეზე. თესვისწინა დამუშავება უნდა ჩატარდეს ხარისხიანად. ხნული უნდა იყოს გაფხვიერებული, ზომიერად ტენიანი, არ უნდა იყოს წამოსული სარეველები.

ლობიოს მოსავლიანობის ამაღლებისათვის საჭიროა ნიადაგში შევიტანოთ ადვილად შესათვისებელი საკვები ნივთიერებები. წმინდა ნათესი ლობიოს ქვეშ ორგანული სასუქები: ნაკელი, ტორფი და სხვა უნდა შევიტანოთ ძირითადი ხვნის წინ. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეწერ და მწირ ნიადაგებზე.

ლობიო კარგად ითვისებს მინერალურ სასუქებს. აზოტით, ფოსფორითა და კალიუმით იგი სათანადო აგროწესებისა და კარტოგრამების მიუხედავად უნდა გავანოყიეროთ.

ლობიო სითბოს მოყვარული მცენარეა. აღმოცენებისათვის საჭიროებს 10-12 გრადუს სითბოს. ლობიო ვერ იტანს ჰაერის შეფარდებით სიმშრალეს. ჭარბი ტენი კი აფერხებს მის ნორმალურ ზრდა-განვითარებას და ხელს უწყობს მასობრივ დაავადებას.

ის უნდა ვთესოთ ნოყიერ ნიადაგებზე. მჟავე, ეწერ და მწირ გამოფიტულ ნიადაგებზე დაბალ მოსავალს იძლევა. დამლაშებულ-დაჭაობებულ ნიადაგებზე მისი თესვა საერთოდ არ შეიძლება.

ლობიოსათვის ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე მოხნული ნიადაგი უნდა დაიფარცხოს ან ჩატარდეს კულტივაცია თანმიყოლებული დაფარცხვით.

ლობიო უმჯობესია 15 აპრილიდან დაითესოს. მას ძალიან მეჩხრად თესავენ, თუმცა სასურველია შემჭიდროებული თესვა. იგი უნდა დაითესოს სწორ მწკრივებად 50-60 სანტიმეტრის დაშორებით, თესვის ნორმა ჯიშების მიხედვით 80-100 კილოგრამია, ჩათესვის სიღრმე 5-8 სანტიმეტრი. თესვისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ბოსტნეულისა და სიმინდის სათესი მანქანები. თესვის ნორმაზე დაყენებული სათესი მანქანით დათესილი ლობიოს ნათესს გამეჩხრება არ სჭირდება. ამ კულტურის დაბალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მიზეზია ფართობზე თესლის მცირე ნორმით თესვა.

ჩვენს პირობებში ნორმალურ ამინდებში რწყვა უნდა ჩატარდეს პირველი ყვავილობის დაწყებისას, მეორედ კი პარკების გამონასკვის პერიოდში. გვალვიან პერიოდში კი საჭიროების მიხედვით.

ლობიოს ნათესის პირველი გაფხვიერება უნდა ჩატარდეს ფოთლების გაშლის დროს, მეორე, პირველი გაფხვიერებიდან (კულტივაციიდან) 15-20 დღის შემდეგ. მწკრივების გათოხნა კი წარმოებს სარეველა ბალახების წამოზრდის მიხედვით.

მცენარე უნდა მოვრწყათ დილით ან საღამოს ფრთხილად, არ შეიძლება ნათესის დატბორვა. განსაკუთრებით მზიან ამინდში, შუადღით, რაც გამოიწვევს ნათესის მასობრივად დაღუპვას.

თესვისას შეიძლება გამოვიყენოთ ბოსტნეულის და სიმინდის სათესი მანქანები, სათანადო თესვის ნორმაზე დაყენების შემდეგ.

გვახსოვდეს სწორი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება _ მაღალი მოსავლის მიღების გარანტიაა.

***ბორის კახიანი***
***აგრობიოლოგი***

## მალხაზ წიქარიშვილის გამოსათხოვარი

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს. ჩვენს უბანში გაზრდილო, პატიოსანო, ჭკვიანო, თბილო, საყვარელო და ყველანაირი ვაჟკაცური ღირსებებით დაჯილდოვებულო ჩვენო მალხაზ. დასანანია შენი ამ ქვეყნიდან ასე უდროოდ წასვლა. როგორ ლამაზად ცხოვრობდი, როგორ ყველას უნაწილებდი თავის წილ სიყვარულს, სიკვდილსაც ვაჟკაცურად ებრძოდი და დედასთან ბოდიშებით და ალერსით დაასრულე სიცოცხლე. გენანებოდა შენი უსაყვარლესი დედა ასეთი საშინელი განაჩენისთვის, იძინე მშვიდად ტკივილებით გატანჯულო ჩვენო დიდო გულისტკივილო.

**ჩიქოვანის ქუჩის მეზობლები.**

---

ქალაქ სამტრედიაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლობა სამძიმარს უცხადებს გურამ წიქარიშვილის ოჯახს შვილის

**მალხაზის**

გარდაცვალების გამო.

---



გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ეროვნული ფოლკლორის დიდი მოამაგის, ჩინებული ლოტბარის

**მურმან ბერულავას**

გარდაცვალების გამო.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ლოტბარი, ეროვნული ფოლკლორის დიდი მოამაგე, ბატონი

**მურმან ბერულავა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ულალატო მეგობრისა და ქართველის, კოლორიტი სამტრედიელის

**მურმან ბერულავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---

ვაჟა ტერელაძე ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება თანაკლასელის, მეგობრის, ჭეშმარიტი სამტრედიელის, ღირსეული მამულიშვილის

**მურმან (დემური) ბერულავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



მაზლები ჯონდი, ომარ გაბეჩავები, რძალი ირა წიქვაძე, მაზლისშვილები ლევანი, მანანა, მაზლისშვილიშვილი თეონა კუბლაშვილი, ნელი, რაული, ენდი, მაგული, ლალი ბანძავები, ნანა მანჯგალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მერი (მედიკო) სიხარულიძე-გაბეჩავა.**

**გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ლევან გაბეჩავას ბიცოლას**

**მერი სიხარულიძე-გაბეჩავას**

**გარდაცვალების გამო.**

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს თეა შენგელიას

**ბიძის**

გარდაცვალების გამო.

---

## ანზორ მაჩიტიძის გახსენება



იგი ჩვენი გაზეთის არა მარტო მეგობარი და მკითხველი, არამედ კორესპონდენტიც იყო, როგორც მაშინ ეძახდნენ, შტატგარეშე კორესპონდენტი.

ბატონი ანზორ მაჩიტიძე არა მარტო ჭადრაკსა და სპორტზე, ჩვენი ყოფის საჭირბოროტო საკითხებზეც წერდა.

საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს ბატონი ანზორ მაჩიტიძე ძირითადად მაინც აღიარებულ მწვრთნელ-მასწავლებლად, არაერთ ტიტულოვან საჭადრაკო ტურნირში გამარჯვებულად ახსოვთ.

დიდია სამტრედიაში ჭადრაკის, სპორტის ამ ულამაზესი სახეობის პოპულარიზაციის საქმეში ანზორ მაჩიტიძის წვლილი.

შორს წაგვიყვანს იმ სამტრედიელი, უკვე ცნობილი მოჭადრაკეების გვარ-სახელების ჩამოთვლა, ჭადრაკის ანბანს ბატონი ანზორის მეშვეობით რომ ეზიარნენ. სინანულით იგონებენ დღეს ისინი მათი მასწავლებლის, მწვრთნელის სახელს, რაც ბატონი ანზორის კეთილშობილებაზე, ჰუმანურობაზე მეტყველებს.

ამ ციცქნა მოგონების ავტორს მახსოვს, აღსაზრდელების წარმატებებით აღფრთოვანებული, სიხარულის პათოსის შემცველი ინფორმაციებით, საგაზეთო წერილებით ხელდამშვენებული ბატონი ანზორ მაჩიტიძე.

დასანანია, რომ იგი მაშინ გარდაიცვალა, კიდევ ბევრის გაკეთება, მრავალი ღირსეული თაობის აღზრდა რომ შეეძლო.

უყვართ ჭადრაკი სამტრედიაში.

უთუოდ ხარობს ბატონი ანზორის სული მისი შემდგომი თაობის სამტრედიელთა მიღწევებით, რომელიც ჭადრაკში ფიქსირდება.

ნათელში იყოს!

***სურათზე, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბექაიას მიერაა გადაღებული, ბატონი ანზორ მაჩიტიძეა აღბეჭდილი ერთ-ერთი მეცადინეობის დროს.***

***ლევან გაბეჩავა***

# ცეროდენების ვარსკვლავური ამბები

**თეა ბაბუნაშვილი**

***ქალაქის მეორე საბავშვო ბაღში კარგ ღონისძიებას თავიდანვე ელოდნენ სტუმრები. მიჩვეულს ნუ მოაკლებო, სწორედ ისეა საქმე. აქ როგორც წესი, ასე ხდება ხოლმე, ბოლომდე იხარჯებიან პედაგოგები და ეტყობა კიდეც ეს ბავშვების მომზადების დონეს.***

***სპორტული შეჯიბრი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ მხიარულებას თავიდანვე გვპირდებოდა. "ცეროდენები" და "იმედის ვარსკვლავები" იმ გუნდების სახელები გახლდათ, უფროსი ჯგუფის აღსაზრდელებისგან რომ შექმნა პედაგოგმა ნათია ხაჩიძემ. არა მხოლოდ ბავშვები, საქმეში მათი მშობლებიც ჩართო და გარდა მხიარულებისა დღე ჯანსაღადაც დაიწყო.***

სანამ სპორტული მარათონი სტარტს აიღებდა, ის მშობლებიც დაასაქმა ნათია მასწავლებელმა, მარათონში რომ არ მონაწილეობდნენ. მათ შვილების საყვარელი ზღაპრის გმირები უნდა ჩამოეწერათ პატარა ფერად ფურცლებზე. და კიდევ ერთი სიურპრიზი _ ამჯერად დედას, სანდრო ჩაჩუამ, სამტრედიელებისთვის საყვარელი და კარგად ნაცნობი "იმედელის", ანა აბზიანიძის ვაჟმა, "ანა-ბანათი" და "X ფაქტორით" საქართველოსთვის ნაცნობი საბა ჩაჩუას ძმამ, დედას უმღერა. უმღერა და დედაც აამღერა, სიურპრიზად მირთმეული ვარდით აცრემლებული.

მერე სპორტული შეჯიბრება დაიწყო, მხიარული, სწრაფი, ხმაურიანი. ერთმანეთს გაეჯიბრნენ მეგობრები, დედიკოებიც დაიხმარეს. იყო ნომინაციები, რომლებიც მხოლოდ დედიკოებს უნდა შეესრულებიათ, მაგალითად: თოკზე დაკიდებული ვაშლი ეჭამათ ხელის მიუშველებლად, მერე მაკარონით სავსე თეფშიდან მაკარონი გაეთავებიათ, ისიც ხელის მიუშველებლად, მერე რამდენიმე ჭიქა წყალი დაელიათ სწრაფად. გამარჯვებას დრო განსაზღვრავდა და ჟიური აფასებდა. ერთი სიტყვით, მეორე საბავშვო ბაღში იმ დღეს მშობლები მისდაუნებურად დააყენეს მაკარონის, ვაშლის და წყლის დიეტაზე. თანაც ეს გამოვიდა ღონისძიება, სადაც ბავშვებმა ინერვიულეს და მშობლები გაერთნენ _ ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით!

და კიდევ ერთი ხუმრობა ღონისძიების ე.წ. "პოლიტიკურ ფერებში" გადაწყვეტა გახლდათ. ბოლო დროს ასე ლურჯი და წითელი ფერებია "მონათლული", თორემ ...

ლექსებიც ბევრი სცოდნიათ და ანდაზებიც. გონივრული გამოცანები და ამოცანები მშობლებთან ერთად გამოიცნეს. ბაგირი გადასწიეს, ივარჯიშეს, ტომრებში გაძვრნენ და კიდევ ვინ მოსთვლის, რა გასართობით არ გამოსცადეს ძალა და საკუთარი თავი. მუსიკის პედაგოგი ლელა ჯოგლიძე, პედაგოგი თამარ მანჯგალაძე და აღმზრდელი მაია ნიშნიანიძე მშობლებთან ერთად მათ აზარტს აჰყვნენ.

მარათონის შეჯამებისას მეთოდისტი მანანა გოდუაძე აღნიშნავდა, რომ "ასე ფასდება პედაგოგის შრომა. ეს მხოლოდ საჩვენებელი ღონისძიება არაა, რადგან მის მომზადებას ერთ-ორ დღეში ვერ მოახერხებ, ეს ნათია ხაჩიძის ყოველდღიური მეცადინეობის შედეგია. მუსიკის მასწავლებელს საბავშვო ბაღში განსაკუთრებული მისია აკისრია. ამას კი ლელა ჯოგლიძე განსაკუთრებულად კარგად ართმევს თავს." მან ისიც აღნიშნა, რომ მშობლებმა, ყოველდღიური დაძაბულობის და შვილებთან გატარებული დროის სიმცირის გამო, უმეტეს შემთხვევაში სწორად ვერ გამოიცნეს შვილების საყვარელი ზღაპრის გმირები. ბაგა-ბაღის გამგე, ინგა წიქვაძე სახალხოდ გამოხატავდა მადლიერებას პედაგოგების მისამართით და სამომავლო გეგმებზე საუბრობდა.

მიუხედავად ბევრი საზრუნავისა, ქალაქის მეორე საბავშვო ბაღში სპორტული მარათონით არა მხოლოდ პატარების, მშობლების განწყობაზეც იზრუნეს და ერთი მხიარული დღით ისინიც გაანებივრეს.





# ახალი ლექსები



მრავალი თაობის აღმზრდელს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, გომის საჯარო სკოლის პედაგოგს, ჩვენი გაზეთის ერთგულ, ნაცად მეგობარს, ბატონ ვალერიანე თევზაძეს საზოგადოების წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება.

რედაქციაში მისი ლექსები, ნაავზრევი უფრო ხშირად "მოდის", ვიდრე თავად. არ გვიკვირს, დრო რომ არ რჩება ჭარმაგ კაცს, რომელმაც ჩინებულად აუწყო ფეხი იმ გაზრდილ მოთხოვნებს, თანამედროვეობა რომ უყენებს სკოლასა და პედაგოგებს.

ამჯერადაც მის გარეშე, თბილ მოკითხვასთან ერთად მივიღეთ მისი ლექსები, რომელთაც სიამოვნებით ვბეჭდავთ.

წარმოდგენილი ლექსები სხვადასხვა დროს დაიწერა. მათ აერთიანებთ მხოლოდ ერთი პრინციპისახელწოდება "კალამბური", თუმცა, რომ ვთქვათ, ფრანგული წარმოშობის ამ სიტყვაში ქართული ძირი "კალამი" დევს. ამასთან ყველა ლექსი წარმოდგენილია უსათაუროდ, ეპიგრაფით, რაც ორიგინალურია. მასში მოხმობილია ადგილობრივი ტოპონიმები.

*ლევან გაბეჩავა*

"სამტრედია, სამტრედია
შიგ ხომ მართლა მტრედებია".
**პეტრე გრუზინსკი**

ზენა ქარი ბაძგნარიდან
მოქრის ქაქან-ქაქანით
და მტრედებით ამტრედდება
სამტრედიის ბაქანი.
სანავარდოს მივარდება
სანავარდო ნავარდით
და დაცურავს ყვავილებში
ზღვა მტრედების ქალაქი.
...
"ერთი წავა და სხვა მოვა"
**შ. რუსთაველი**

მიდის, მიდის, მიდის,
ელმავალი მიდის.
აგერ ბრწყინავს ხიდი,
ეგერ ბაღი შინდის.
მიდის ელმავალი,
ყველაფერი მიდის...
დასარჩენი რჩება,
წასასვლელი მიდის.
...
"ცდომისაკენ ათასი გზა მიდის"
**ჟან-ჟაკ რუსო**

ახლა ყველა იკბინება _ კბილიანი, უკბილო.
ამან იმას, იმან ამას, რატომ უნდა უკბინოს?!
ზოგი ტვინით იკბინება, ზოგიც კიდევ უტვინოდ.
შენსას ვერას შეაგონებ, რაც არ უნდა უსტვინო.
მწარე მწარედ იკბინება გარეშენი, შინანი...
შენაც კბენა მოგინდება, არ უკბენ და ინანებ.
...
"ვეფხის ტყავები აცვიათ ტანზე
ვეფხისტყაოსნით დაზრდილ ჭაბუკებს".
**ე. ევტუშენკო**

ბამზე დიდი ბამია,
ბამზე დიდი ბუმია,
გავყვიროდით ერთიან:
ჩვენიაო დუნია.
ახლა აღარც ბამია,
ახლა აღარც ბუმია,
აღარც ჩვენი არ არის,
სხვისი არის დუნია.

**დემნა შენგელაიას ხსოვნას**

შევარდენი სანავარდოს დანავარდობს ნავარდით,
ნავარდ-ნავარდ, ნავარდ-ნავარდ, ნავარდ-ნავარდ ნავარდით.
რიონს ისევ შეუძახებს ჭურთავა და ლოლობა:
მე აგავსებ სიყვარულით, შენ იდინე ოღონდ და...
ცაში ასდის ოხშივარი მზით გამთბარი მიწისა,
ყველა სადღაც მიდის, მაგრამ ყველამ იცის, მიდის სად.
ნაფშანარში ბინდი დაქრის, დაქრის ნავარდ-ნავარდით,
შევარდენი შევარდნულად დანავარდობს ნავარდით.
...
"თოფი მხარზე გადვიკიდე,
გადვიარე ტოლები,
ჯიხვის ნაცვლად გოგო შემხვდა
მზესთან დასატოლები".
**შალვა ჩიტიშვილი**

ტოლებს ტოლად იტოლებდი
ტოლი და სატოლები,
ტოლებლების ტოლი იყავ
ტოლთან დასატოლები.
ტოლებს ახლაც გიტოლებენ
ტოლებელი ტოლები
შენი ტოლი ტოლები და
ტოლის ტოლი ტოლები.
...
"რაღაცას მღერის გოგო
მშვენიერი და ზრდილი".
**გალაკტიონი**

ყვირილ _ ყვირილ, ყვირილა
აყვირებულ ყვირილის
საყვირების ყვირილით
ყვირის ყვირილიონი:
საქართველოს დათმობა,
საქართველოს დამხობა,
საქართველოს გაქრობა
არ გეგონოთ იოლი.

*ვალერიან თევზაძე*

**ვულოცავთ!**

ღვაწლმოსილ პედაგოგს, ღირსების მედლის კავალერს, ქალბატონ ვენერა კაჭახიძეს პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს.

ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ მრავალრიცხოვან კეთილისმსურველთა გასახარად.

*ლევან გაბეჩავა, მურად გელეიშვილი*

თამთა მილორავასა და ვეფხია სტურუას ვულოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
სასახელო ქართველად აღეზარდოთ პატარა ნიკოლოზი.

*"სამტრედიის მაცნე"*

**დეკანოზ ზაქარიას (მესხი)!**

ქრისტესმიერი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

*მრევლი*



**მონატრება ემიგრანტებს**

როცა შორს ხარ, უფრო გიყვარს სამშობლო!
ნოსტალგია შენს სულში, არ ისვენებს,
შენი გული დარდს და წუხილს მოუცავს
და ცრემლები მუდამ თვალებს გისველებს.
შენ მშობლებმა სიყვარულით გაგზარდეს,
შოთას წიგნი გაგატანეს მზითევში.
უცხო ენის სწავლა რატომ დაგჭირდა,
სხვის სიტყვებს რომ იმეორებ ფიქრებში.
აქ დატოვე "ციცქნა" მამის ამარა,
და სხვის "ციცქნას" დასტრიალებ თავდებად,
ძილში შვილის კულულები გეხვევა,
უსიცოცხლო დღეები არ თავდება,
რა ხდება, რა დაუშავეთ ქვეყანას,
რად გაჭირდა მშობელ დედის ალერსი?
უცხოს შვილებს მზრუნველობა თუ უნდა,
მაშინ, როცა საკუთარის არ გვესმის!

*მამია ცინცაძე*

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა